კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 233 (12147) | ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავლის პიონერები

მომავლის მზვერავები, პიონერები — კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და კოლექტივების საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მონაწილენი. სწორედ ეს არის კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ახლანდელი ეტაპის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი. იგი განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა მას შემდეგ, რაც ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვმა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე განმარტა შეჯიბრების მონაწილეთა მთავარი მოვალეობა, უპირველესი ვალი.

„კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და ბრიგადებს, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მომავლის პიონერები. პიონერები, როგორც ცნობილია, წინ მიდიან, გზას უკვალავენ მთავარ ძალებს, მაგრამ ისინი არ უნდა მოსწყდნენ ამ ძალებს, არ უნდა ცდილობდნენ სხვა მუშებისაგან განკერძოებით იმოქმედონ. თქვენი დამსახურება დიდი არ იქნებოდა, რომ ჩაკეტილიყავით თქვენს კოლექტივებში, გეთქვათ: ჩვენ წმინდა ვართ, კარგები ვართ, სხვები კი რა გვენალვლებაო. პარტიას, ხალხს თქვენ ნოვატორებად მიაჩნიხართ იმიტომ, რომ თქვენ ცდილობთ ყველაფერი, რაც დღეს მოიკოვეთ, ყველა მიჯნა, რომლებსაც დღეს მიაღწიეთ, ხვალ სხვებს გაუზიაროთ. ეს არის თქვენი ძალა, ეს არის თქვენი დიდება. და თუ ისე მოხდა, რომ დღევანდელი მოწინავეები ხვალ მასწავლებლები გახდნენ, რა უშავს, ეს მხოლოდ აჯობებს. ამით ხომ ჩვენი საერთო საქმე მოიგებს, ჩვენ ყველანი მოვიგებთ!“.

რაც ვალენტინა გაგანოვამ ქნა, რომელიც ნებაყოფლობით გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში და დაეხმარა მას მოწინავე გამხდარიყო, ახლა მისი ათასობით მიმდევარი შვრება. მოწინავე საწარმოების — მოსკოვის ოლქის კუპავნის ფაბრიკის, დონბასის № 4-2-ბის „ირმინოს“, ლვოვის ოლქის № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკისა და ბევრი სხვა საწარმოს მთელი კოლექტივები უანგაროდ ეხმარებიან ჩამორჩენილ საწარმოებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, გამომყოფენ მათთვის თავიანთ საუკეთესო მუშაკებს.

ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელშა სკკპ პროგრამის პროექტში დასახული ამოცანები თავის მშობლიურ, ღვიძლ საქმედ, თავისი ცხოვრების მიზნად, კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის საბრძოლო დროშად მიიჩნია. ამ ბრძოლაში განსტაციდება და გაიზრდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა, წარმოიშობა, სრულყოფილი გახდება ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის სხვა ფორმებიც. რადგან ხალხი ისტორიის ნამდვილი შემოქმედია. კომუნიზმი მისი ხელით, მისი ენერგიით, მისი გონებით უნდა აშენდეს. კომუნიზმის გამარჯვება, ნათქვამია სკკპ პროგრამის პროექტში, დამოკიდებულია ადამიანებზე, და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს სიუხვე და სასიხარულო ცხოვრება მოაქვს ყველასთვის, კიდევ უფრო ზრდის საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას, ღირსებასა და სახელს.

ადამიანთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის კვალავენ გზას მომავლის მზვერავები — კომუნისტური შრომის დამკვრელები და კოლექტივები.

დიდება მათ, საბჭოთა ხალხის პირველ რიგებში რომ დგანან!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

10/X ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲯᲐᲠᲒ ტრადიციად დამკვრდა გაცვლითი ტელეგადაცემების მოწყობა. საკავშირო ტელევიზიით უკვე რამდენჯერმე მოეწყო საქართველოს ტელევიზიის მიერ მომზადებული სპეციალური პროგრამის ჩვენება.

და აი 6 ოქტომბერს მოსკოველმა ტელემაყურებელმა კვლავ გაიგონა საქართველოს ტელეგადაცემათა დაწყების მაუწყებელი მელოდია.

გადაცემა დაიწყო. როგორც წინა ორი გადაცემის დროს, ამჯერადაც მთელი საღამო დაეთმო საქართველოს სტუდიის პროგრამას, რომელსაც, მოსკოველთა გარდა, უყურებდა და ისმენდა რუსეთის ფედერაციის რამდენიმე ოლქის მილიონობით მშრომელი.

პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად საქართველოს მშრომელთა თავდადებულ შრომაზე, მათს წარმატებებზე ტელემაყურებლებს ესაუბრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.

მოწონება დაიმსახურა სპავშვო კონცერტმა „მხიარული ალბომი“. მის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოსკოველ ნორჩ მაყურებელთა თხოვნით იგი განმეორებით იქნა შეტანილი გადაცემათა პროგრამაში.

ნაჩვენები იქნა კინონარკვევი, რომელიც მაყურებელს მოუთხრობს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების შრომითს საქმიანობაზე.

ტელემაყურებლებმა ნახეს აგრეთვე საქართველოს ტელევიზიის ორი ახალი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ეკიმი ფეხბურთზე მიიჩარის“ და „გია მიდის ყამირზე“.

მრავალფეროვანი და ღრმაშინაარსიანი იყო ახალი ამბების სპეციალური გამოშვება.

საქართველოს ტელევიზიის გადაცემათა პროგრამა დასრულდა დიდი კონცერტით, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები.

Გ. ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). პარტიის XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში ი. ბ. სტალინის სახელობის კომუნისტური შრომის მაღაროს კოლექტივმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვა. მან 5 ოქტომბრისათვის გადაპარბებით შეასრულა მარგანეცის გამოღების წლიური გეგმა და 1962 წლის ანგარიშში უკვე გამოიღო ათას ტონობით მაღალხარისხოვანი მადანი. აღსანიშნავია, რომ მაღაროს კოლექტივმა შრომის ნაყოფიერება გაადიდა 27 პროცენტით და მარტო ცხრა თვეში დაზოგა 86.000 მანეთი. ყოველი ტონა მარგანეცის დამზადება აქ ერთი მანეთით გაიაფეს.

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲕ!

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულა მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. მიღებული და გადამუშავებული 2.920 ტონა ჩაის ნედლეული, რაც ოთხასი ტონით აღემატება წლიურ გეგმას.

უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 157 პროცენტით, ხოლო პირველი ხარისხისა — 112 პროცენტით.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა წლიური გეგმა უკვე გაანადა.

ნედლეულის დამზადების წლიური გეგმა შევასრულეთ 102,2 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 101 პროცენტით, უმაღლესი ხარისხის ჩაის დამზადებისა — 108 პროცენტით. განვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გავადიდეთ შრომის ნაყოფიერება, ხოლო 2,1 პროცენტით შევამცირეთ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. ᲨᲔᲖᲝᲒᲛᲘᲗᲘᲗ ეკონომიით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეთ 25.000 მანეთი.

ჩვენს ფაბრიკაში არცერთი ჩამორჩენილი მუშა ან ბრიგადა არ არის. საერთო წარმატებაში ყველას წვლილია, მაგრამ საყრილობო შეჯიბრებაში პირველობა ლ. ბზიგაძის კომუნისტური შრომის ბრიგადამ მოიპოვა, რომელმაც წლიური დავალება 125 პროცენტით გაანაღდა.

Დ. ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲔᲯᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

Დ. Ჯ. ᲞᲔᲢᲠᲣᲩᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 9 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით დღეს მოსკოვს ჩამოვიდა იტალიელი მეცნიერი დანიელ ანჯელო პეტრუჩი, რომელიც ცნობილია თავისი ექსპერიმენტებით უმაღლესი ცხოველებისა და ადამიანის ემბრიონების ხელოვნური გზით გაზრდის დარგში.

დოქტორი პეტრუჩი მოხსენებებს გააკეთებს თავისი გამოკვლევების შესახებ, გაეცნობა საბჭოთა ბიოლოგებისა და მედიკების ნამუშევრებს.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 9 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ე. მაკსარევმა დღეს აღმოჩენის დიპლომები გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ა. ლ. კურსანოვს და ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს მ. ნ. ზაპრომეტოვს.

მათ დაადგინეს კატეხინების მაღალი ბიოლოგიური აქტივობის თვისება, რაც უცნობი იყო ადრე, და გამოიხატება იმით, რომ ისინი განამტკიცებენ სისხლძარღვების კაპილარების კედლებს და აღადგენენ კაპილარების დარღვეულ შედწევადობას.

კატეხინებს, რომლებსაც უმთავრესად ჩაის ფოთლისაგან იღებენ ვიტამინების „რ“ სახით, წარმატებით იყენებენ სხვადასხვა დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, განსაკუთრებით ისეთ დაავადებათა მკურნალობისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სისხლძარღვების სისტემის ფუნქციის დარღვევასთან.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲢᲣᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲢᲣᲕᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲢᲣᲕᲘᲡ ავტონომიური ოლქის მშრომელთა სურვილისამებრ, ეროვნებათა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპის შესაბამისად, აგრეთვე ტუველი ხალხის შემდგომი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფის მიზნით, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 9 ოქტომბრის ბრძანებულებით დადგენილი ტუვის ავტონომიური ოლქის გარდაქმნა ტუვის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად:

2. ეს ბრძანებულება შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი.
1961 წლის 10 ოქტომბერი.

ᲡᲙᲙᲞ XXII ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ

ᲐᲡᲔ ᲛᲝᲘᲧᲕᲔᲭᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲛ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის XXI ყრილობაზე ქებით მოიხსენიეს ამავე ყრილობის დელეგატი, ქუთაისელი ავტომობილმშენებელი იოსებ ხაზარაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადას და რომელსაც ახლა ასობით მიმდევარი გაუჩნდა.

ამ ბრიგადაში ქარხნის სხვადასხვა საამქროებში მომუშავე ათი ნოვატორი მუშა და სპეციალისტი გაერთიანდა, რათა ერთობლივი ღონისძიებებით, წინადადებათა კოლექტიური განხილვითა და განხორციელებით დაჩქარონ ტექნიკური პროგრესის ტემპები.

და აი ახლის მოთავე ამ ათმა კაცმა, თვითეულმა ცალკე და ყველამ ერთად, პირობა დადო — შვიდწლედის ბოლომდე თვითეულმა დაზოგოს ერთი მილიონი მანეთი, ე. ი. სულ 10 მილიონი, ხოლო წლესვე სულ მცირე მილიონი მანეთი შემატონ შვიდწლედის ფონდს.

მშობლიური საწარმოს ტექნიკური სრულყოფისათვის დაიჭრა ეს მცირე, მაგრამ აზრის შემართებით ძლიერი ადამიანები. მისი მებრძოლები ხშირად იკრიბებოდნენ, თათბირობდნენ, შეტევის გამდიდულ გეგმებს სახავდნენ და თვითეული თავის უბანზე ასრულებდა საბრძოლო დავალებას.

ბრიგადის ხელმძღვანელმა იოსებ ხაზარაძემ მოდერნიზაციის გზით აღადგინა და მწყობრში ჩააყენა წლების მანძილზე უმოქმედოდ მდგომი ორი აგრეგატული ჩარხი. მისივე წინადადებით მოკლე ხანში დაინერგა მაღალი წარმადობის შვიდი ახალი სამარჯვი. ერთერთი სამარჯვი, რომელიც ბრინჯაოს მილისის ჩაწნეხვაზეა გამოყენებული, ამ ოპერაციას ავტომატურად ასრულებს, სრულებით სპობს წუნს და ფერადი ლითონის დიდალ ეკონომიას იძლევა. ნოვატორის ამ წინადადებათა დანერგვამ წელს ქარხანას 212 ათასი მანეთის ეკონომია მისცა.

ელექტროსაამქროს ოსტატმა ოთარ ალავიძემ ელექტროძრავების გადატვირთვის, ან ორ ფაზაზე მუშაობისას ძრავების გადაწვის თავიდან ასაცილებლად ავტომატურად გამომრთველი სპეციალური რელეები შექმნა. მარტო ამ სიახლის დანერგვით მან 202.500 მანეთის ეკონომია გასწია.

სამეცადინო საამქროში ავტომანქანის წინა ხიდის დატვიფრვისას მისი გათვალისწინებულ ზომამდე დაყენა ქედვასთან, ხელით შრომასთან იყო დაკავშირებული. საამქროს ტექნოლოგმა ანდრო წიქორიძემ შექმნა სპეციალური დანადგარი, რითაც წინა ხიდის ზომამდე დაყენა ავტომატურად, გახურებულ მდგომარეობაში ხდება. ამ შრომატევად პროცესზე სავსებით აღიკვეთა ხელით შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო ქარხანამ დიდი ეკონომიური ეფექტი — 285 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო.

ამავე საამქროში კომპრესორებში გადამუშავებული წყალი უმმად იღებოდა. საამქროს ბრიგადირის გიორგი ყურაშვილის წინადადებით ახლა გადამუშავებულ წყალს ფილტრავენ და ხელმეორედ იყენებენ. ამ გზით მიღებული დანაზოგი 150.830 მანეთს შეადგენს.

კარდანული ლილვის ყრუ ჩანგლის ბურღვა დიდხანს ძნელ საქმედ ითვლებოდა — ბურღები ტყდებოდა, ჩარხები მწყობრიდან გამოდიოდა, დეტალის წუნი მატულობდა... სიჩქარეთა კოლოფის საამქროს მექანიკოსმა ვიფი ბელიძემ აგრეგატული საბურღი ჩარხების მოდერნიზაციით ყველა ეს დეფექტი აღკვეთა, მდგომარეობა გამოასწორა და 88.960 მანეთი დაზოგა.

საწნეხ-საძარე საამქროს ტექნოლოგის ოთარ მხეიძის წინადადებით მთელი რიგი დეტალების დამზადებაზე ფურცლოვანი ლითონის ნარჩენების გამოყენებით გაწეულია 38 ათასი მანეთის წლიური ეკონომია.

საგულისხმო რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორები არიან აგრეთვე № 2 სამსხმელო საამქროს ოსტატი უშანგი მიქაძე, ძრავას საამქროს ამწყობი აკაკი რუხაძე, ნორმალების საამქროს ამწყობი ტრიფონ იჩქიტიძე და თერმული საამქროს უფროსის მოადგილე შოთა ჭოხონელიძე. მთლიანად ბრიგადის წევრებმა ორმოცზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს.

რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის ი. ხაზარაძისა და მისი ბრიგადის სახელი შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გასწვდა. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ნოვატორი ამწყობის მაგალითს ბაძავენ ახლა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალი ვ. ვაულინი და მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის ტექნოლოგი დ. პროსტოვი.

რაციონალიზატორთა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა სულ უფრო მასობრივი ხდება. მარტო ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ამ საპატიო სახელისათვის იბრძვის რაციონალიზატორთა ათი ბრიგადა. ასეთივე ბრიგადები შეიქმნა და იქმნება თბილისის, ქუთაისის, რუსთავის ბევრ საწარმოში.

დიდი ნდობა გამოუცხადეს დიდი წამოწყების ინიციატორს.

საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე იოსებ ხაზარაძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ამ სიხარულს ახლა არა მარტო მისი ბრიგადის წევრები, არამედ მთელი ქარხანა, მთელი ქალაქი იზიარებს.

მშობლიურ საწარმოში რომ დაბრუნდა, ი. ხაზარაძემ თანამოსაქმეებს მოუთხრო საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის მუშაობაზე, ამოცანებზე, რომლებიც ყრილობამ მრეწველობის მუშაკებს დაუსახა. ბრიგადირის ჩამოსვლისთანავე შეაჯამეს კომუნისტური შრომის ბრიგადაში გაწეული მუშაობის შედეგები. აღმოჩნდა, რომ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით ბრიგადამ დღემდე 90 ათასი მანეთის ეკონომია გასწია.

თუმცა სკკპ XXII ყრილობამდე დღეები დარჩა, იოსებმა გამოიანგარიშა, რომ ვიდრე იგი ყრილობაზე გაემგზავრებოდეს, შეუძლია დამატებით სულ მცირე 10 ათასი მანეთის ეკონომია გასწიოს.

იოსებ ხაზარაძემ ეს საჩუქარი სულ მოკლე ხანში მოამზადა. მისი წინადადებით დიდი გაუმჯობესება, შეიძლება ითქვას, არსებითი გარდატეხა შეიტანეს სიჩქარეთა კოლოფის თუჯის ქუროს დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში.

აღნიშნულ დეტალს წინათ სამ სახარატო-რევოლვერულ ჩარხზე ამზადებდნენ, ამასთან მუშას ზომების დაკერა ხელით უხდებოდა, ამის გამო ყოველი ასი დეტალიდან ორმოცი დამატებით ოპერაციას, წუნით გამოწვეული დეფექტების გამოსწორებას მოითხოვდა. დამსახურებული რაციონალიზატორის წინადადებით თუჯის ქუროს დამზადებაზე საამქროში უქმად მდგომი მრავალსაჭრისიანი ნახევრადავტომატური სახარატო ჩარხი გამოიყენეს.

ამ სიახლეში ერობაშად იჩინა თავი დიდმა ეკონომიურმა ეფექტმა, ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებამ, შრომის ნაყოფიერების ზრდამ. საკმარისია ითქვას, რომ ახალ ჩარხზე ცვლაში ერთისამად უფრო მეტი დეტალი მზადდება, ხოლო წუნი მთლიანად გაქრა.

თავისი ამ ახალი შთანაფიქრის განხორციელებით მიდის ახლის მაძიებელი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უდღრესად მტკიცე პროტესტი განაცხადა ომანთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ბანდიტური თავდასხმები სსრ კავშირის საელჩოზე არგენტინაში. ამ პროტესტს შეიცავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელიც დღეს გადაეცა არგენტინის რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს მოსკოვში ბ-ნ ა. ოლივა დეის.

ნოტაში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად არგენტინის ხელისუფალთა დაპირებისა, ბანდიტური თავდასხმები საბჭოთა საელჩოს შენობებზე ბუენოს-აირესში არ წყდება. 26 ივლისსა და 29 სექტემბერს თავდამსხმელთა ჯგუფები შენობას, რომელიც საბჭოთა საელჩოს ეკუთვნის, უშენდნენ ქვასა და ცეცხლგამჩენი ნაწილით სავსე ბოთლებს, ცეცხლს უკიდებდნენ კარებსა და ამსხვრევდნენ ფანჯრებს.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო მოითხოვს, რომ არგენტინის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებები ამ პროვოკაციული მოქმედების შესაწყვეტად, უზრუნველყოს უშიშროება და შექმნას პირობები საბჭოთა საელჩოს ნორმალური საქმიანობისათვის.

ნოტაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბუენოს-აირესში სსრ კავშირის საელჩოს წინააღმდეგ მრავალმა პროვოკაციულმა მოქმედებამ „შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შედეგები, რისთვისაც პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება არგენტინის რესპუბლიკის მთავრობას“.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ინგლისის ჯარების დიდ მანევრებში, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში მიმდინარეობს, მონაწილეობენ აგრეთვე ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის ნაწილები. გუშინ მანევრების გახსნას დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალი ევროპაში გენერალი კლარკი, ინგლისის ჯარების სარდალი გენერალი კესელსი, ფრანგი გენერალი ქაკო, აგრეთვე ბუნდესვერის წარმომადგენლები — ბრიგადის გენერალი ბერენდსენი და გენერალ-ლეიტენანტი მიულერ-ჰილებრანდი.

გუშინვე ქალაქების ბად-კრაიცნაჰის, ორმსის, ლანდშტულის რაიონში დაიწყო ნატოს შეიარაღებული ძალების სანიტარული ნაწილების მანევრები, რომელშიც მონაწილეობენ ამერიკის, დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის ქვეგანაყოფები.



ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲗ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინში იხსნება ეგრეთ წოდებული „ევროპის პარლამენტის“ — ევროპის საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომისიის ორდღიანი სხდომა. ამასთან დაკავშირებით დასავლეთ ბერლინში ჩამოვიდნენ პოლიტიკური კომიტეტის 29 წევრი და დასავლეთ ევროპის კავშირის ხელმძღვანელი მოღვაწენი. სხდომის დემონსტრაციული მოწვევა ახალი პროვოკაციაა. მისი მიზანია ხაზი გაუსვას, თითქოს დასავლეთ ბერლინი შედის დასავლეთ ევროპის კავშირის სფეროში.

ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲕᲘ ᲡᲘᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც აქ გამოაცხადეს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სირიელმა წევრებმა გადასცეს ეროვნული კრების გენერალურ მდივანს განცხადება იმის შესახებ, რომ გადადგნენ „კაიროს რადიოთი 5 ოქტომბერს პრეზიდენტ ნასერის გამოსვლის შესაბამისად“.

სულ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულ კრებაში 600 დეპუტატია, რომელთაგან 200 დეპუტატი სირიელია.

გუშინ შუადღის შემდეგ ეროვნული კრების სირიელი დეპუტატები კაიროდან სირიაში გაეგზავნენ.

8 ოქტომბერს კაიროს გაზეთებში გამოქვეყნდა ტექსტი განცხადებისა იმის შესახებ, რომ გადადგა 14 სირიელი მინისტრი, რომლებიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობის შემადგენლობაში იყვნენ.

მოახლოვდა სკკ XXII ყრილობის გახსნის დღე. მშრომელები პარტიას, საშუალოს ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ, წარმატებით სრულდება აღებული ვალდებულებები.

ამ წარმატებათა საფუძველია მოწინავეების — შუქურების ძვირფას გამოცდილებათა განზოგადება, მათი მეთოდების ფართოდ დანერგვა და პროპაგანდა. ამ საერთო-პარტიულ საქმეს — მოწინავის, პროგრესულის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვას, იმას თუ როგორ გახდა ჩვენს რესპუბლიკაში საერთო-სახალხო კუთვნილება შუქურების შრომის მეთოდები, როგორ გამრავლდნენ მათი მიმდევრები, ვოგვითხრობენ ამ გვერდზე დაბეჭდილი წერილები.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

წინ, მოწინავეთა მაგალითით!

ასე ვიღებთ ზღუდეებს

გაზაფხული დგება. მთელ ჩვენს სამშობლოში გაჩაღდა მოძრაობა ახალი ზღუდეების ასაღებად. ყვარლის რაიონის მშრომელებიც ჩაებნენ ამ საერთო-სახალხო მოძრაობაში და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. ჩვენმა მესიმინდეებმა მთელი რესპუბლიკის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს მოწოდებით, რომ მოეწყოთ დიდი ლაშქრობა სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ ფართოდ გავშლიდით სოციალისტურ შეჯიბრებას და მუშაობაში დავნერგავდით მოწინავეების — შუქურების მდიდარ გამოცდილებას.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცოტა როდი არიან შუქურები. ისინი რუსეთის და სხვა მოძმე რესპუბლიკების მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით ყოველწლიურად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთათვის კარგად არის ცნობილი შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდის მიხეილ გურაბანიძის შრომითი საქმიანობა. მისმა ბრიგადამ ჯერ კიდევ 1959 წელს 49 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 56,9 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო, შარშან კი 43 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 64,4 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა, ხოლო წელს — 81,9 ცენტნერი, პირადად გურაბანიძემ ერთ ჰექტარზე 151 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა.

როგორ მიაღწია გურაბანიძემ და მისმა ბრიგადამ ამ წარმატებას?

რაღა თქმა უნდა, წარმატებები თავისით არ მოდის. იგი შრომით მოიპოვება. ნათქვამია „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო“. გურაბანიძემ და მისმა ბრიგადის წევრებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ცნობილი მერგოლური ე. დოლინიუკის სიმინდის უხვი მოსავლის მიღების ხერხები, დანერგეს მუშაობაში და საქმესაც წინსვლა დაეტყო.

ახლა გურაბანიძე თვითონ გახდა შუქურა, მაგრამ ამით კი არ დავკმაყოფილდით. მოწინავე მესიმინდეების შრომითი მეთოდები საერთო-სახალხო კუთვნილებად ვაქციეთ.

საქმის დეტალურად შესწავლით დაერწმუნდით, რომ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მდიდარმა გამოცდილებამ და ამ გამოცდილების ფართოდ დანერგვამ განაპირობა ყოველწლიურად სიმინდის მაღალი მოსავლის მიღება.

როგორც საკოლმეურნეო წარმოების სხვა დარგებს, სიმინდის მაღალი მოსავლის მიღების საქმესაც სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას აქცევს მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების შესწავლას და მის განზოგადებას. ამ მიზნით აქ ხშირად ეწყობა თათბირები, საუბრები, სადაც გურაბანიძის ბრიგადის წევრები თავიანთ გამოცდილებას დიდი ხალისით და მონდომებით უზიარებენ კოლმეურნეებს.

სიმინდის მაღალი მოსავლის მიღებისათვის გამართულ ღია პარტიულ კრებებზე სიტყვებით გამოდიან კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიოები, საკოლმეურნეო წარმოების მოწინავე ადამიანები და წარმოების ნოვატორები. ისინი კოლმეურნეებს მოუთხრობენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე. მაგალითად, მიმდინარე წლის მარტში გამართულ პარტიულ კრებაზე მოწინავე მესიმინდეებმა მიხეილ გურაბანიძემ, ირაკლი ოთარაშვილმა კოლმეურნეებს უამბეს იმის შესახებ, თუ როგორ მიიღეს შარშან სიმინდის მაღალი მოსავალი.

დამახასიათებელია, რომ უკანასკნელ წლებში ცნობილი მოწინავე მესიმინდეების გურაბანიძის, ოთარაშვილის, მირიანაშვილის და მრავალი სხვა მოწინავის მაგალითზე აღიზარდნენ ახალგაზრდები ნ. გოგოლაშვილი, მ. ზამთარაძე, ი. ჩიბროვა, შ. უტურაშვილი, თ. აღნიაშვილი, გ. ყიფშიძე, ზ. ლობჟანიძე და მრავალი სხვა, რომლებმაც უკვე ისახელეს თავი წარჩინებული შრომით და შუქურებს უსწორებენ მხარს. პირველადი პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ მათი შრომითი მოწოდების პოპულარიზაციისათვის, მათი მუშაობის მეთოდების განზოგადებისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტი ჯეროვან ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და მათი მუშაობის მეთოდების დანერგვის საქმეს. ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის საკითხი. ეს დადგენილება დაეგზავნა ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას. დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის შემდგომი გაძლიერებისა და მისი დანერგვისათვის.

შილდელი კოლმეურნეები დარწმუნდნენ, რომ ურწყავად სიმინდის მოსავლიანობა ვერ გადიდდება. ამიტომ მათ შეძლეს მცირე დანახარჯებით ჭალაფშის წყლის გამოყენება სარწყავად, რომელიც დღემდე უსარგებლოდ ერთვოდა მდინარე ალაზანს. ახლა კოლმეურნეობის სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი ფართობი უზრუნველყოფილია სარწყავი წყლით.

ყვარელი. ითხვისის ზეგანი. დიმიტროვის სახელობის მაღარო № 32. პირველი უბანი. მარგანეცის მოპოვების ღია კარიერი...

დროებით მიწყდა მძლავრი ექსკავატორის გუგუნი, „გონიერმა“ მექანიზმმა ხორთუმი ძირს დაუშვა. შენელდა მადნის საბურღი მანქანის მონოტონური ხმაურიც. ექსკავატორის მემანქანე ძირს ჩამოვიდა. ოფლი მოიწმინდა. შეისვენა... ბრიგადის წევრები გარს შემოერტყნენ ხელმძღვანელს...

ეს იყო კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ ვასილის-ძე აბრამიშვილი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობიდან. მიხეილი ბრიგადის აგიტატორიც არის.

— ბიჭებო, — მიმართა მან ბრიგადის წევრებს, — მე გაკვრით გიამბეთ თბილისში ყოფნაზე. ყველაფრის თქმა და გადმოცემა, რაც ჩვენს დედაქალაქში განვიცადე, ჩემს ძალას აღემატება. იქ მიღებული შთაბეჭდილებანი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. და მიხეილმა ამხანაგებს უამბო ყრილობის მიმდინარეობა, ნათელი და მკაფიო მოხსენებების ძირითადი აზრი. აღნიშნა, თუ რა გრანდიოზული ამოცანები დასახა ყრილობამ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების აღმავლობის, ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბების დარგში. მარგანეცის მრეწველობის განვითარებაზედაც ბევრი რამ ითქვა ყრილობაზე, — დასძინა აგიტატორმა და თანაც გაზეთი მოიშველია.

ასეთია ბიოგრაფია კომუნიზმის მშენებლისა

ყრილობის დელეგატი

ჭიათურა. ითხვისის ზეგანი. დიმიტროვის სახელობის მაღარო № 32. პირველი უბანი. მარგანეცის მოპოვების ღია კარიერი...

დროებით მიწყდა მძლავრი ექსკავატორის გუგუნი, „გონიერმა“ მექანიზმმა ხორთუმი ძირს დაუშვა. შენელდა მადნის საბურღი მანქანის მონოტონური ხმაურიც. ექსკავატორის მემანქანე ძირს ჩამოვიდა. ოფლი მოიწმინდა. შეისვენა... ბრიგადის წევრები გარს შემოერტყნენ ხელმძღვანელს...

ეს იყო კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ ვასილის-ძე აბრამიშვილი, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობიდან. მიხეილი ბრიგადის აგიტატორიც არის.

— ბიჭებო, — მიმართა მან ბრიგადის წევრებს, — მე გაკვრით გიამბეთ თბილისში ყოფნაზე. ყველაფრის თქმა და გადმოცემა, რაც ჩვენს დედაქალაქში განვიცადე, ჩემს ძალას აღემატება. იქ მიღებული შთაბეჭდილებანი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. და მიხეილმა ამხანაგებს უამბო ყრილობის მიმდინარეობა, ნათელი და მკაფიო მოხსენებების ძირითადი აზრი. აღნიშნა, თუ რა გრანდიოზული ამოცანები დასახა ყრილობამ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების აღმავლობის, ახალი ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბების დარგში. მარგანეცის მრეწველობის განვითარებაზედაც ბევრი რამ ითქვა ყრილობაზე, — დასძინა აგიტატორმა და თანაც გაზეთი მოიშველია.

მან სიტყვა-სიტყვით წაიკითხა ყრილობაზე საანგარიშო მოხსენების ის ადგილი, რომელიც ჭიათურას ეხება. — ეს ძალიან ბევრს გვავალებს,— დაასკვნის ბრიგადირი, — ჩვენ ღირსეულად უნდა დავიცვათ ქართული მარგანეცის მარკა, მოვსპოთ დანაკარგები, ვიმუშაოთ კომუნისტურად.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ ძმაო,— სიტყვა ჩაურთო მბურღავმა შოთა კაპანაძემ, — პარტიის XXII ყრილობის დელეგატად აურჩევიხართო, მალე მოსკოვს გაემგზავრები. რომ დაბრუნდები, ყველაფერი გულდასმით უნდა გვიამბო...

— ჩვენმა პარტიამ, ხალხმა ასე იცის შრომის დაფასება, მაგრამ ეს ხომ მარტო ჩემი შრომის დაფასება არ არის, — თქვა მიხეილმა. ეს ჩვენი ბრიგადის გამარჯვებაა. ჩვენთვის ხომ ყველაფერი გასუყოფელია. ჩვენ ყველას თანაბრად გვახარებს ჩვენი ბრიგადის წარმატება და გვწყინს წარუმატებლობა.

გულღია და საინტერესო საუბარი დამთავრდა. მეგობრები კვლავ სამუშაოს ეკვეთნენ. მ. აბრამიშვილი ექსკავატორის ბერკეტს მიუჯდა, თავამდე გაავსო თვითმცლელი ავტომანქანა...

ბულდოზერის მემანქანემ ვაჟა იაკობიძემ მძლავრი მანქანა დასძრა და ახალი ვენის გადახსნა დაიწყო. მბურღავმა შ. კაპანაძემ კვლავ ააგუგუნა ელექტროსაბურღი მანქანა და ღრმა შპურების მომზადებას შეუდგა. ამფეთქებელი ტ. კაპანაძე თავის სამუშაოს ამზადებდა, ხოლო მემანქანე-ზეინკლები ო. ლომიძე და ვ. ბაკურაძე მეორე ექსკავატორს არემონტებდნენ...

ეს ბრიგადა უკვე ერთი წელია კომუნისტური შრომის სახელს ღირსეულად ატარებს. ერთიან ნებისყოფას და მიზანს მტკიცედ შეუკავშირებია შრომისმოყვარე პატარა კოლექტივი. აქ, რომ იტყვიან, ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვისაა. ისინი ურთიერთს შველიან შრომაში, მეგობრები არიან. ასეთი შეთანხმებული შრომით საერთო წარმატებას აღწევენ. აი, შეაჯამეს დღის მუშაობის შედეგი. მ. აბრამიშვილის ბრიგადამ ერთ ცვლაში სამშობლოს მისცა 135 ტონა ზეგეგმური მაღალხარისხოვანი მარგანეცი. და ეს ჩვეულებრივი დღე იყო. ასე ბარაქიანია ყოველი დღე. ჩვენ ამოვაწერინეთ ბრიგადის მუშაობის ცხრა თვის მაჩვენებლები. თვით აღმრიცხველებსაც გაუკვირდათ. წელს ამ შრომისმოყვარე ბრიგადას მოუპოვებია 112.009 ტონა მარგანეცი, გეგმაზე 43.349 ტონით მეტი, ცხრა თვეში გადაუხსნია 25.511 კუბური მეტრით მეტი ქანები. ამ ციფრების აზრს უფრო ღრმად სამთო საქმეს ახლოს გაცნობილი ადამიანი ჩაწვდება. ბრიგადამ უკვე ორი თვეა შეასრულა წლიური დავალება. ჩვენ ვთქვით, რომ ბრიგადამ წელს, მოიპოვა 112 ათას ტონაზე მეტი მადანი. საგულისხმო და სასიხარულოა, რომ მარგანეცის ეს რაოდენობა დატვირთულია მ. აბრამიშვილის ექსკავატორით!

მიხეილმა ჩინებულად იცის თავისი მანქანა. იგი ხმით გამოიცნობს ექსკავატორის „ტკივილს“ და მალე უბრო „წამალსაც“ გაუმზადებს. მიხეილის ხელში ექსკავატორმა შეფერხება არ იცის. იგი ისე საფუძვლიანად არის დაუფლებული ამ რთულ მექანიზმს, რომ დამოუკიდებლად აწარმოებს მის მიმდინარე თუ კაპიტალურ შეკეთებას. ერთხელ ექსკავატორმა კაპიტალური შეკეთება მოითხოვა. ამისათვის ერთი თვე იყო საჭირო, მაგრამ მიხეილმა და მისმა მეგობარმა, დახელოვნებულმა ელექტროზეინკალმა ნ. იაკობიძემ ექსკავატორი ორ კვირაში მაღალხარისხოვნად შეაკეთეს, რითაც დირექციის მადლობა და პრემია დაიმსახურეს.

ბრიგადირი გონებამახვილი რაციონალიზატორიც არის. ექსკავატორის კბილანები ცვდებოდა და ყოველ კვირაში შეღუღება სჭირდებოდა. მიხეილი დაუფიქრდა ამ საკითხს და გამოსავალი მოძებნა. მიხეილის წინადადებით შეიცვალა საყელურები და ექსკავატორი აგერ მეორე წელია ამ მიზეზით აღარ შეფერხებულა. ამით საგრძნობლად გაიზარდა მექანიზმის წარმადობა, ნაყოფიერება, შემცირდა მოცდენა...

მუშაობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ ყრილობის დელეგატს. მისი ბიოგრაფია როდი განსაკუთრებული. მისი წარსული ბევრი ახალგაზრდა მუშის თავგადასავალია. მიხეილი 32 წლისაა. სარეკელი კოლმეურნის ვასილ აბრამიშვილის ერთად-ერთი ვაჟიშვილია. წარმატებით დაამთავრა სოფელ სარეკის რვაწლიანი სკოლა და კოლმეურნეობაში მგოლის ხელმძღვანელად მუშაობდა. 1947 წელს ქიათურაში წამოვიდა და საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში შეიდა. მადნის გამდიდრებას სწავლობდა და კარგადაც შეითვისა. ერთხანს ფაბრიკაში მარგანეცის გამამდიდრებელ დაზგაზე მუშაობდა.

იმხანად მაღაროში ღია კარიერები იხსნებოდა, ახალგაზრდებს რუსთავში ექსკავატორის მემანქანეთა კურსებზე აგზავნიდნენ, მიხეილს ტექნიკა იტაცებდა და კურსებზე წავიდა. 1955 წლიდან ექსკავატორის მემანქანეა და კომუნისტური შრომის ბრიგადას უძღვება. მან მემანქანეობა შეასწავლა ვ. ბაკურაძეს და ო. ლომიძეს. ახალგაზრდა მაღაროელებსაც უზიარებს გამოცდილებას.

მაღაროშიც მუყაითად მუშაობს და კოლმეურნეობასაც ეხმარება. კეთილსინდისიერი შრომით კარგი ოჯახი შექმნა და ოთხ შვილს უზრდის სამშობლოს.

ყრილობის დელეგატი უნარიანად მართავს ექსკავატორს. რამდენიმე დღე და მ. აბრამიშვილი საამაყო მაჩვენებლებით გაემგზავრება ჩვენი დიდი სამშობლოს გულში. ჭიათურელი მაღაროელი დაესწრება კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას. ჭეშმარიტად ბედნიერია იგი.

ს. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: სკკპ XXII ყრილობის დელეგატი — დიმიტროვის სახელობის მაღაროს ექსკავატორის მემანქანე მ. ვ. აბრამიშვილი.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა.

ეს, რით ვეგეგეგით

მშობლიური კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებმა, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დიდმნიშვნელოვანმა გადაწყვეტილებებმა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენს კოლმეურნე მშრომელებში.

მამათის კოლმეურნეობა ახლა ერთ-ერთი მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელია ლანჩხუთის რაიონში. მეჩაიეებმა სანაქებოდ გაანალდეს „მწვანე ოქროს“ დამზადების წლიური დავალება. ნაცვლად 920 ტონისა 1.040 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩავაბარეთ წარმოებას.

თავი ისახელეს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადის მეჩაიეებმა, რომელსაც სათავეში უდგას თავისი საქმის კარგი მცოდნე კ. სალუქვაძე. ბრიგადამ ათეულ ტონობით ზეგეგმითი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მიხცა სამშობლოს. ვ. ხელაძის ბრიგადის წევრებმა 108 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვალდებულებით კი 98 ტონა უნდა მოეკრიფათ. მათ თვითეულ ჰექტარზე 5.400 კილოგრამი მოსავალი მიიღეს. სოციალისტური შრომის გმირებმა ე. ჩხაიძემ, შ. დარჩიამ, ნ. კილაძემ და სხვებმა სანაქებოდ შეასრულეს პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. თვითეულმა 5 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ჩვენ სიმინდის კულტურასაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. 260 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდის მარცვალს მივიღებთ, ხოლო 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერს. მოწინავე მესიმინდეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვამ დიდი სარგებლობა მოგვიტანა. ახლა ჩვენცა გვყავს სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები.

წილად მხვდა დიდი ბედნიერება: საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობაზე სკკპ XXII ყრილობის დელეგატად ამირჩიეს. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში მონაწილეობას მივიღებ პარტიის დიდ ყრილობაში. კოლმეურნეთა სახელით პირობას ვდებ, რომ კვლავაც ენერგიის დაუზოგავად ვიშრომებთ, რომ საპაპიო წვლილი შევიტანოთ მომავალი ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების საქმეში.

პ. შევარდნაძე,
ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



ეს, ეს ეს

ბულნარა კაპანაძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცხოვრების გზად კოლმეურნეობაში მუშაობა აირჩია. როდესაც იგი თეთრხალათგადაცმული მეძროხეობის ფერმაში პირველად გამოჩნდა, ხანდაზმულმა კოლმეურნეებმა ეჭვი გამოთქვეს. ზოგი იმასაც კი ამბობდა, ფერმაში ასეთი ახალგაზრდები თუ მოვლენ სამუშაოდ, ჩვენი საქმე დაიღუპება, გეგმას ვერ შეასრულებთ, საქვეყნოდ თავი მოგვეჭრებაო.

თანატოლებიც უწუნებდნენ გადაწყვეტილებას.

შრომას მოწყურებული გულნარა მალე დაეუფლა მწველავის არც თუ ისე ადვილ პროფესიას. ბევრ მათგანს შესაჩენევად გაუსწრო. იგი მალე ცნობილი გახდა ლაგოდეხის რაიონში. შარშან თერთმეტ ძროხას უვლიდა. თვითეულ ძროხაზე წველადობის გეგმას 1.200 კილოგრამით გადაამეტა. გეგმის ზევით ცამეტ ტონაზე მეტი რძე მისცა სამშობლოს.

კომკავშირელი მწველავის შრომითს მამაცობაზე არა მარტო კოლმეურნეობაში, არამედ რაიონშიც ალაპარაკდნენ. ყველა ქებით იხსენიებდა მის სახელს. შრომას უწონებდნენ. რაიონულმა გაზეთმაც ქება-დიდება შეასხა მას.

გოგონები, რომლებმაც მასთან ერთად დაამთავრეს სკოლა, მაგრამ ფერმაში მუშაობა სამარცხვინოდ მიიჩნიდათ, ახლა გულნარას ბედს შენატროდნენ. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა ფერმაში დაეწყო მუშაობა. პირველი ნაბიჯი ნუნუ კვირიკაშვილმა გადადგა. მხარში ამოუდგა გულნარას, შრომაში ჩაება. მათი მაგალითისამებრ ფერმაში სამუშაოდ მოვიდნენ კომკავშირელები იზოლდა მაჭარაშვილი, ლილი გელაშვილი, ლიანა ლაბუჩიძე, თინა ცერცვაძე, ლუიზა და ნანული ლაბუჩიძეები. მათ უფრო მეტი სიახლე შეტანეს ფერმის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მაგალითის ძალამ კიდევ უფრო მეტი სასწაული მოახდინა. დიადი შვიდწლედის პირველი წლის მიწურულში ცოდნისკარელ ნუნუ კვირიკაშვილს ახალგაზრდა ლაბანარა ცოდნისკარელი შუქურები. მარტო ის თვეტი, რომ ფერმაში შარშანდელთან შედარებით წელს ცხრა თვეში ყოველ ძროხაზე წარმოებულია 230 კილოგრამით მეტი რძე, ხოლო სახელმწიფოს 1.420 ცენტნერის ნაცვლად 1.864 ცენტნერი რძე მიჰყიდეს, ნათლად მეტყველებს ახალგაზრდული ბრიგადის თავდადებულ შრომის საქმიანობაზე. მათი ბრიგადა ერთ-ერთი წამყვანი ბრიგადაა მეძროხეობის ფერმაში. ამ ბრიგადის ჩამორჩენა ფერმის ჩამორჩენას ნიშნავს. ეს კარგად იციან გოგონებმა, იციან, და ამიტომ დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ ფერმა, სადაც ისინი მუშაობენ, ყოველთვის მოწინავე იყოს. თუ ლაგოდეხის რაიონში სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმას რძის წარმოების დარგში ყველაზე მოწინავეთა რიგებში იხსენიებენ. ეს პირველ რიგში ახალგაზრდა შუქურების დამსახურებაა.

გულნარა კაპანაძის ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ბრიგადა სიახლის დანერგვის, სწავლის, შუქურების აღზრდის უბადლო უნივერსიტეტად გადაიქცა. ამაზე ნათლად მეტყველებენ ცალკეულ მწველავთა შრომითი მაჩვენებლები. წელს ცხრა თვეში ლილი გელაშვილმა, რომელიც თერთმეტ ძროხას უვლის, გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. 2.400 კილოგრამის ნაცვლად ყოველ ძროხაზე 2.438 კილოგრამი რძე მიიღო და ახლა მთელი ენერგიით იბრძვის ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად — თვითეულ ძროხაზე 2.700 კილოგრამი რძის მისაღებად.

ეს გოგონები ცოდნისკარელი შუქურები არიან. მარცხნიდან მარჯვნივ: გულნარა კაპანაძე, ნუნუ კვირიკაშვილი, იზოლდა მაჭარაშვილი და ნათელა ლაბაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

• • •

ლებლად, თავისი წვლილი შეაქვს სახალხო დოვლათის შექმნაში.

თეთრხალათიანი გოგონების რიცხვმა ფერმაში იმატა. მალე მათ მწველავთა ახალგაზრდული ბრიგადა ჩამოაყალიბეს. ხელმძღვანელობა გულნარას დაეკისრა. გულნარამაც თავისი მდიდარი გამოცდილება თანატოლებს გაუზიარა, ყოველდღიურად ეხმარებოდა მათ, ასწავლიდა, ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდა იმისათვის, რომ ისინი მალე დაუფლებოდნენ მწველავის პროფესიას. ასეთმა მზრუნველობამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო.

შარშან მეძროხეობის ფერმამ 360 ტონის ნაცვლად 424 ტონა რძე აწარმოვა. საშუალოდ ერთ ძროხაზე გათვალისწინებული 1.740 კილოგრამის ნაცვლად 2.724 კილოგრამი რძე მიიღეს. ასეთი მაჩვენებელი ფერმას წინათ არ ჰქონია. ამ საერთო წარმატებაში ყველაზე მეტად ქალიშვილების ბრიგადამ ისახელა თავი. გეგმის გადამეტებით ასი ტონა რძე მისცეს სამშობლოს.

უფრო საამაყო იყო ბრიგადის ცალკეულ წევრთა მაჩვენებლები. ნუნუ კვირიკაშვილმა თვითეულ ძროხაზე გეგმით ნავარაუდევს 818 კილოგრამით გადაჭარბა. ლილი გელაშვილმა და იზოლდა მაჭარაშვილმა გეგმასთან შედარებით საშუალოდ ყოველ ძროხაზე ათასი კილოგრამით მეტი რძე მიიღეს თვითეულმა. წველადობის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ბრიგადის დანარჩენმა წევრებმაც. ჩამორჩენით კი არავინ ჩამორჩენილა. ამით ამაყობენ ქალიშვილები. აქვთ კიდევაც საამაყო ცოდნისკარელ შუქურებს.

ეს იყო წვიდწლედის მეორე წელს.

დიადი შვიდწლედის მესამე წელს კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ გულნარა კაპანაძე და მის მიერ გამოზრდილი ცოდნისკარელი შუქურები. ისინი ოთხ-ორჯერ მოღვაწეობენ ყიფშიძე ხელმძღვანელობს, 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 60 ცენტნერი.

გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრის შ. ბეროშვილის ოჯახმა წელს მოსავლელად მიჩენილი 10 ჰექტარი ფართობიდან კოლმეურნეობას ჩააბარა 500 ცენტნერი სიმინდი, ხოლო გ. ბულულაშვილმა ერთი ჰექტარი ფართობიდან — 14 ტონა. გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადამ. რომელსაც არსენ იმედაშვილი ხელმძღვანელობს, 100 ჰექტარი სიმინდის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში უკვე დამკვიდრდა მ. გურაბანიძის გამოცდილება, ჯერ კიდევ საკმაოდ არიან სიმინდის მოყვანის საქმეში ჩამორჩენილი კოლმეურნეობები.

მაშინ როცა ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობას ვაქებთ, როგორც მოწინავეს, მის მეზობელ მთისძირის კოლმეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 15 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს, ხოლო საბუის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 9 ცენტნერამდე შეამცირეს. ეს პირველ რიგში იმით უნდა აიხსნას, რომ ამ კოლმეურნეობებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას.

ჩვენ კვლავაც ძალღონეს არ დავიშურებთ, რომ მოწინავეთა გამოცდილება მასობრივი გავხადოთ და მივაღწიოთ საერთო აღმავლობას.

გ. ზაუტაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი.

• • •

სურათებზე: შილდელი შუქურა მიხეილ გურაბანიძე (ზევით) და მისი აღზრდილები თამაზ აღნიაშვილი და შოთა უტურაშვილი.

ფოტო ჭ. ბახუტაშვილისა.

შუქურები ზრდიან შუქურებს

ბულნარა კაპანაძემ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ცხოვრების გზად კოლმეურნეობაში მუშაობა აირჩია. როდესაც იგი თეთრხალათგადაცმული მეძროხეობის ფერმაში პირველად გამოჩნდა, ხანდაზმულმა კოლმეურნეებმა ეჭვი გამოთქვეს. ზოგი იმასაც კი ამბობდა, ფერმაში ასეთი ახალგაზრდები თუ მოვლენ სამუშაოდ, ჩვენი საქმე დაიღუპება, გეგმას ვერ შეასრულებთ, საქვეყნოდ თავი მოგვეჭრებაო.

თანატოლებიც უწუნებდნენ გადაწყვეტილებას.

შრომას მოწყურებული გულნარა მალე დაეუფლა მწველავის არც თუ ისე ადვილ პროფესიას. ბევრ მათგანს შესაჩენევად გაუსწრო. იგი მალე ცნობილი გახდა ლაგოდეხის რაიონში. შარშან თერთმეტ ძროხას უვლიდა. თვითეულ ძროხაზე წველადობის გეგმას 1.200 კილოგრამით გადაამეტა. გეგმის ზევით ცამეტ ტონაზე მეტი რძე მისცა სამშობლოს.

კომკავშირელი მწველავის შრომითს მამაცობაზე არა მარტო კოლმეურნეობაში, არამედ რაიონშიც ალაპარაკდნენ. ყველა ქებით იხსენიებდა მის სახელს. შრომას უწონებდნენ. რაიონულმა გაზეთმაც ქება-დიდება შეასხა მას.

გოგონები, რომლებმაც მასთან ერთად დაამთავრეს სკოლა, მაგრამ ფერმაში მუშაობა სამარცხვინოდ მიიჩნიდათ, ახლა გულნარას ბედს შენატროდნენ. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა ფერმაში დაეწყო მუშაობა. პირველი ნაბიჯი ნუნუ კვირიკაშვილმა გადადგა. მხარში ამოუდგა გულნარას, შრომაში ჩაება. მათი მაგალითისამებრ ფერმაში სამუშაოდ მოვიდნენ კომკავშირელები იზოლდა მაჭარაშვილი, ლილი გელაშვილი, ლიანა ლაბუჩიძე, თინა ცერცვაძე, ლუიზა და ნანული ლაბუჩიძეები. მათ უფრო მეტი სიახლე შეტანეს ფერმის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მაგალითის ძალამ კიდევ უფრო მეტი სასწაული მოახდინა. დიადი შვიდწლედის პირველი წლის მიწურულში ცოდნისკარელ ნუნუ კვირიკაშვილს ახალგაზრდა ლაბანარა ცოდნისკარელი შუქურები. მარტო ის თვეტი, რომ ფერმაში შარშანდელთან შედარებით წელს ცხრა თვეში ყოველ ძროხაზე წარმოებულია 230 კილოგრამით მეტი რძე, ხოლო სახელმწიფოს 1.420 ცენტნერის ნაცვლად 1.864 ცენტნერი რძე მიჰყიდეს, ნათლად მეტყველებს ახალგაზრდული ბრიგადის თავდადებულ შრომის საქმიანობაზე. მათი ბრიგადა ერთ-ერთი წამყვანი ბრიგადაა მეძროხეობის ფერმაში. ამ ბრიგადის ჩამორჩენა ფერმის ჩამორჩენას ნიშნავს. ეს კარგად იციან გოგონებმა, იციან, და ამიტომ დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ ფერმა, სადაც ისინი მუშაობენ, ყოველთვის მოწინავე იყოს. თუ ლაგოდეხის რაიონში სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმას რძის წარმოების დარგში ყველაზე მოწინავეთა რიგებში იხსენიებენ. ეს პირველ რიგში ახალგაზრდა შუქურების დამსახურებაა.

გულნარა კაპანაძის ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ბრიგადა სიახლის დანერგვის, სწავლის, შუქურების აღზრდის უბადლო უნივერსიტეტად გადაიქცა. ამაზე ნათლად მეტყველებენ ცალკეულ მწველავთა შრომითი მაჩვენებლები. წელს ცხრა თვეში ლილი გელაშვილმა, რომელიც თერთმეტ ძროხას უვლის, გადაჭარბებით შეასრულა წველადობის წლიური გეგმა. 2.400 კილოგრამის ნაცვლად ყოველ ძროხაზე 2.438 კილოგრამი რძე მიიღო და ახლა მთელი ენერგიით იბრძვის ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად — თვითეულ ძროხაზე 2.700 კილოგრამი რძის მისაღებად.

წველადობის წლიური გეგმები შესრულეს და ახლა ვალდებულების ანგარიშში მუშაობენ ნათელა ლაბაძე, ნუნუ კვირიკაშვილი, იზოლდა მაჭარაშვილ

...ეგოგრაგა, ...ერთიანოგა

...ARL-MARXL-ШТАДТ, 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. სპვინი ...ობინება: მეოთხე დღეა გერმანიის ...ოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად ...ს სსრ კავშირის პარტიისა და მთავ...ბის დელეგაცია, რომელსაც მეთაუ...ბს ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ...ზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მი...ტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი ...მოადგილე ა. ი. მიკოიანი. დელეგა...ს ყოფნა გერმანიის დემოკრატიულ ...სპუბლიკაში ცხადყოფს მეგობრობას, ...მელიც განუყრელად აკავშირებს გე...ნიის დემოკრატიული რესპუბლიკის ...რომელებსა და საბჭოთა ხალხს.

...გუშინ საბჭოთა დელეგაციის წევრები ...ოგზაურად წავიდნენ გერმანიის დე...კრატიულ რესპუბლიკაში და ჩავიდნენ ...სპუბლიკის დიდ სამრეწველო ცენტრ-, სახელოვანი რევოლუციური ტრადი...ების ქალაქ კარლ-მარქს-შტადტში. ...ეს დელეგაცია ეწვია ჩარხსაშენებელ ...რხანა „მოდულს“. ეს საწარმო გერ...ნიის დემოკრატიული რესპუბლიკის პი...ველი ხუთწლედის პირმშოა. მისი საჭა...ნო მარკა ახლა ფართოდ ცნობილია ...ზღვარგარეთ, მათ შორის საბჭოთა კა...ირის საწარმოებში. ამჟამად ქარხნის ...ოდუქციის 70 პროცენტი, რომელიც ...რითადად კბილსაჭრელ და კბილსახეხ ...რხებს უშვებს, განკუთვნილია ექსპორ...ისათვის. საწარმოო კოლექტივი, რო...ელშიც 1.500 კაცია, წარმატებით ასრუ...ებს ხაგეგმო დავალებებს. შარშანდელ...ან შედარებით პროდუქციის მოცულო...ა აქ 20 პროცენტით გაიზარდა.

...გულთბილი იყო საბჭოთა სტუმრები...ა და ქარხნის მუშაკთა შეხვედრა. საბ...ოთა დელეგაციას ფულთადად მიესალ...ნენ საწარმოს დირექციის, პარტიული ...ორგანიზაციისა და საზოგადოებრივ ორ...ანიზაციათა წარმომადგენლები. ქარხ...ის მებრძოლი მუშათა ჯგუფის მეთაური ...ვ. შტეკელმა პატაკი მისცა ამხანაგ ...ა. ი. მიკოიანს.

შემდეგ საწარმოს დირექტორმა კ. პი...ტერმანმა ა. ი. მიკოიანს უამბო ქარხ...ის განვითარებაზე, გააცნო მისი საწარ...ოო პროგრამა და შემდგომი გეგმები. კ. ...ისტერმანმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ სა...არმოში ფართოდ ინერგება საბჭოთა ...არმოების ნოვატორთა შრომის მეთო...ები.

საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ...ქარხნის საამქროები. ყველგან დელეგა...ციის წევრებთან მიდიოდნენ მუშები, ...რათა ხელი ჩამოერთვათ საბჭოთა ქვეყ...ის წარმომადგენლებისათვის, გამოეთქ...ვათ სიყვარული და მადლობა საბჭოთა ...ადმინებისადმი. სამონტაჟო-სახეს საა...ქროში მხეზავმა ჰენგ ზაიფერტმა ა. ი. ...იკოიანს მიართვა ყვავილთა თაიგული ...და სთხოვა მხურვალე სალამი გადასცეს ...ამხანაგებს ნ. ხ. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ...ბრეჟნევს, აგრეთვე კოსმონავტებს ი. გა...გარინსა და გ. ტიტოვს.

№ 5 საამქროში გაიმართა მიტინგი, ...რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მი...კოიანმა.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავ...რობის დელეგაციის მეთაურმა ქარხანა „მოდულის“ კოლექტივის წარმომადგენ...ლებს მიართვა ვაზა, რომელზეც გამოსა...ხულია კოსმოსის გმირის ი. გაგარინის ...პორტრეტი, კარლ-მარქსის სახელობის ...ბრიგადის მუშამ გ. გრიუნერმა ქარხნის ...კოლექტივის სახელით ა. ი. მიკოიანს გა...დასცა სამახსოვრო საჩუქარი — ჩარხის ...მოდელი.

მიტინგი დამთავრდა. დამსწრენი მღერ...ნან „ინტერნაციონალს“.

ქარხნის კართან საწარმოს ხელმძღვა...ნელები და მუშაკები გულთბილად გამო...ეთხოვნენ ამხანაგ ა. ი. მიკოიანს და საბ...ჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს.

შემდეგ სტუმრებმა გაესეირნეს ქალა...ქის პარკში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო ორგანიზაციის ორგა...ნოს გაზეთ „ფოლკსშტიმეს“ თხოვნით ა. ი. მიკოიანმა ამ გაზეთის რედაქციას გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„გაზეთ ფოლკსშტიმეს“.

გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება შექმნის კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემდგომი ეკონომიური და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

ვუსურვებ ოლქის ყველა მშრომელს დიდ წარმატებებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის საქმეში, რათა ახალ გერმანიაში კიდევ უფრო მალე განხორციელდეს იდეები თქვენი გენიალური თანამემამულის — კარლ მარქსისა, რომლის სახელსაც ატარებს თქვენი ოლქი.

გაუმარჯოს ჩვენი ხალხების მეგობრობას!

ა. მიკოიანი.

კარლ-მარქს-შტადტი.
1961 წლის 9 ოქტომბერი“.

ია ნ ს ლ ო რ ფ - ნ ი დ ე რ ლ ო რ ფ ი , (კარლ-მარქს-შტადტის ოლქი), 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი კ. სპვინი ატყობინებს: დიდი და დაუვიწყარი იყო დღევანდელი დღე იანსდორფ-ნიდერდორფის (შტოლბერგის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის ყველა მცხოვრებისათვის. აქ დღისით ჩამოვიდა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის ყველა მცხოვრები გამოვიდა სასოფელი, ძვირფასი სტუმრების შესახვედრად. კოოპერატივის თავმჯდომარემ კლაუს ვოლფმა — სახალხო პალატის დეპუტატმა — ა. ი. მიკოიანს უამბო კოოპერატივის განვითარებაზე, მისი მეურნეობის სტრუქტურაზე. შემდეგ საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს კოოპერატიული ნაგებობანი, გაეცნენ ბრიგადების მუშაობას.

ამის შემდეგ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. კოოპერატორები სულითა და გულით მიესალმნენ საბჭოთა დელეგაციის წევრებს.

დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოიხმინეს ა. ი. მიკოიანის სიტყვა, რომელმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოოპერატორებს გადასცა საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მხურვალე სალამი. თავის სიტყვაში ა. ი. მიკოიანმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების სოციალისტურ გზას — ჯგუფობის შეძლებული და კულტურული ცხოვრების საფუძველს.

საბჭოთა პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა კოოპერატორებს აჩუქა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ფაიფურის ბიუსტი და ჩანაწერი დატოვა საპატო სტუმართა წიგნში.

მიტინგის შემდეგ საბჭოთა სტუმრები დრეზდენში გაემგზავრენენ.

დ რ ე ზ დ ე ნ ი , 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი კ. სპვინი იტყობინებს: ცოტა ვინმე თუ დარჩა დრეზდენში დღეს საღამოს შინ, ათეულ ათასობით კაცი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე, რომლებზეც გაიარა ავტომანქანებით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის. დელეგაციამ. მცხოვრებლები აღტაცებით ხვდებოდნენ სტუმრებს, გაიძახოდნენ: „მეგობრობა! მეგობრობა!“. ღია მანქანაში ფეხზე მდგომი ა. ი. მიკოიანი მიესალმებოდა შემხვედრთ. ყველგან ნითელი დროშები და ტრანსპარანტებია, რომლებზეც წარწერილია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო!“

ავტომანქანები მიუახლოვდნენ ცენტრალურ მოედანს — ალტმარკტს — ქალაქის მცხოვრებთა დემონსტრაციებისა და კრებების ტრადიციულ ადგილს. აქ შეიკრიბა 200 ათასი მცხოვრები. ტრიბუნაზე გაჯიმულია ლოზუნგი: „საბჭოთა კავშირთან მეგიდრო კავშირით ჩვენ ვიბრძვით ვერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის“. დამსწრენი მხურვალედ მიესალმებიან ა. ი. მიკოიანსა და დელეგაციის სხვა წევრებს.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დრეზდენის საოლქო ორგანიზაციის პირველმა მდივანმა ვ. კროლიკოვსკიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ლ. ორლოვმა და სხვებმა. დასასრულ მიტინგის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა ა. ი. მიკოიანი.

მიტინგი გადაიქცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობის მძლავრ მანიფესტაციად.

ა შ ვ ი ლ ო ბ ი ს გადარჩენისათვის ხაოველთაო-ხალხური ბრძოლის ლოზუნგით იტალიაში ჩადგება მშვიდობისმოყვარე ძალების მძლავრი მოძრაობა. იტალიის კომპარტიამ, იტალიის შრომის ხაოველთაო კონფედერაციამ, მშვიდობისმოყვარეთა [illegible] მოძრაობამ, იტალიელ პარტიზანთა ეროვნულმა ასოციაციამ, ქალთა და ახალგაზრდობის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა [illegible] ნთი ორგანიზაციების წევრებს, მშრომელ[illegible] [illegible] ...ბებს, დემოკრატებს, ანტიფაშისტებს მიმართეს მოწოდებით ალ...მაღლონ ხმა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

ომის საფრთხის ლიკვიდაციისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მისაღწევად მშვიდობისათვის იტალიელი მებრძოლნი ბრძოლის სულ სხვადასხვა ფორმებს იყენებენ. იმართება მასობრივი დისკუსიები, რომლებზეც მათი მონაწილენი განიხილავენ ახლანდელი საერთაშორისო ვითარების მწვავე საკითხებს. მატულობს ხელმოწერა იტალიის მიწაზე ნატოს რაკეტული ბაზების წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუციებზე. იტალიის გზებზე მიდიან „მშვიდობის ქარავნები“. ამ დღეებში ორი ქალაქის — პერუჯისა და ასიზის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს „მშვიდობის მარში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე კაცმა.

სურათზე: „მშვიდობის მარშის“ მონაწილენი პერუჯაში.

(სურათი გაზეთ „უნიტადან“).

...ინ-ხეპის თათბირზე

ჯ ა ნ ო ი , 10 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო ხინ-ხეპიდან იუწყება, სამი მხარის წარმომადგენელთა გუშინდელ თათბირზე არ ყოფილა მიღწეული არავითარი პროგრესი. დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხის განხილვა გადაიდო იმის გამო, რომ საავანაკეტის დაჯგუფების წარმომადგენლებმა ორჭოფული პოზიცია დაიკავეს.

პრინც სუვანა ფუმისა და ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის დელეგაციების წევრთა აზრით, იუწყება კორესპონდენტი, ეს თათბირი „მოწმობს, რომ, თუმცა ბუნუმის დელეგაცია იძულებული იყო დათანხმებოდა სუვანა ფუმის დანიშვნას დროებითი ეროვნული კოალიციის მთავრობის პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ამ დელეგაციას ჯერ კიდევ არ სურს კეთილსინდისიერად გადაიკრას ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიც არის კაბინეტის შემადგენლობა და კაბინეტის წევრთა პორტფელების განაწილება, რის გამო კოალიციური მთავრობის შედგენას ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე ეღობება.

ვინ „აშოშმინებს“ კატანგას?

პ ა რ ი ზ ი , 9 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლები კონგოში ეხმარებიან ჩომბეს სადამსჯელო რაზმებს ჩაახშონ ბალუბას ტომის აჯანყება. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა კატანგის პოლიციას გადასცეს ბალუბას ტომის ორმოცდათექვსმეტი კაცი, რომლებიც, კატანგის ეგრეთწოდებული „მთავრობის“ შინაგან საქმეთა მინისტრის მუნონგოს სიტყვით, „საშიში მეთაურები“ არიან.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მეტი წილის გადაცემული ბალუბები დაუჭერათ გაერთიანებული ერების ჯარისკაცებს. ისინი აცხადებენ, რომ 5 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების შვედმა ჯარისკაცებმა დახოცეს 300-ზე მეტი ბალუბა.

„ულტრების“ მუქარა ძლიერდება...

პ ა რ ი ზ ი , 10 ოქტომბერი. (საკდესი). „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის „ულტრაკოლონიალისტთა“ მოქმედება სულ უფრო თავხედური ხდება. გაზეთი „ეკო“ წერს, რომ ახალი პუტჩის საფრთხე ალეირში „შეიძლება მოახლოვდეს“.

ამავე დროს არ მცირდება ტერორისტული აქტები, რომელთაც „ულტრები“ აწყობენ. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, საშუალოდ დღეში 28 აფეთქება ხდება.

აჯამებს რა „ულტრების“ მოქმედების ზოგიერთ „შედეგს“, პარიზის პრესა იუწყება, რომ მარტო ნახევარ თვეში, 15-დან 30 სექტემბრამდე. „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ტერორისტებმა ალეირის ტერიტორიაზე მოახდინეს 426 თავდასხმა. აქედან 416 განხორციელდა ასაფეთქებელი მასალის, 10-სასროლი იარაღის გამოყენებით.

თავდასხმის შედეგი 8 მოკლული და 90 დაჭრილი. თავდასხმის თითქმის ნახევარი (205) ქალაქ ალეირში მოხდა.

გუშინ შუადღისას ალეირში საფრანგეთის რადიოსადგურის „ფრანს-5“ ჩვეულებრივი გადაცემები მოულოდნელად შეწყდა. ფრანგ რადიომსმენელებს გამოუცხადეს, რომ „იწყება „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ გადაცემა“.

ქალაქ ალეირის ყველა მცხოვრებე, განაცხადა დიქტორმა, „მობილიზებულ იქნება ან უკვე მობილიზებულია. შესაბამის მომენტში „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ხელმძღვანელები მათ მითითებებს მისცემენ. უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე შეიქმნება კარგად შეიარაღებული და დისციპლინებული არმია 100 ათასი კაცის შემადგენლობით. გამარჯვება უეჭველია“.

შემდეგ რადიოთი გაისმა ულტრაკოლონიალისტთა თავკაცის, ყოფილი გენერლის სალანის ხმა — „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია“, — განაცხადა მან, — ჩვენი ერთადერთი იმედი, ჩვენი უკანასკნელი ხსნაა“.

დიქტორმა განაცხადა, რომ ამიერიდან ყოველ დღე „ფრანს-5“ რადიოსადგურის ტალღით მოეწყობა „ფრანგთა ალეირის“ რადიოგადაცემები. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ გუშინდელი გადაცემის დაწყების წინ ტერორისტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს ქალაქ ალეირის მახლობლად განლაგებული მთავრობის ორი გადამცემი რადიოსადგური.

პ ა რ ი ზ ი , 10 ოქტომბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ძლიერდება „ულტრების“ თარეში, ფრანგი ხალხი რაზმავს თავის ძალებს ფაშიზმისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

მას შემდეგ, რაც ქალაქ რენში შეიქმნა ანტიფაშისტური კომიტეტი, კიდევ ერთი ასეთი კომიტეტი შექმნეს ქალაქ ბერეზოვაკში (დორდონის დეპარტამენტი). კომიტეტში შევიდნენ საფრანგეთის სამი უდიდესი პროფკავშირული ორგანიზაციის — შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ქრისტიან მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციისა და „ფორს უვრიერის“, აგრეთვე კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ადგილობრივ ორგანიზაციათა, რადიკალთა და სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წარმომადგენლები. კომიტეტი თავის მიზნად ისახავს იბრძოლოს ალეირის მოლაპარაკებისათვის და იმისათვის, რომ შეწყდეს „ხელისუფლების წაქეზება ექსტრემისტთა მიმართ“.

პარიზში და პარიზის გარეუბან პიუტოში, სადაც ამას წინათ „ულტრებმა“ აფეთქება მოახდინეს მერიის შენობაში, აგრეთვე ქალაქ აიაჩოში (კუნძულ კორსიკაზე) გაიმართა ანტიფაშისტური დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სულ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანებმა.

გენერალ ზახრედინის განცხადება

დ ა მ ა ს კ ო , 9 ოქტომბერი. (საკდესი). სირიის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირების, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებთა დელეგაციები ჩამოდიან დამასკოში, რომთა შეხვდნენ შეიარაღებული ძალების უმაღლესი რევოლუციური სარდლობის წარმომადგენლებსა და დროებითი მთავრობის წევრებს და განუცხადონ თავიანთი მხარდაჭერა.

სირიის არაბთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა ზახრედინმა, ქალაქ იდლიბის საზოგადოებრიობის დელეგაციის მიღებისას განაცხადა: „ერთხელ კიდევ ვიმეორებ ალთქმას, რომელიც დავდე ჩვენი მოძრაობის წარმომობის პირველ მომენტში, რომ ჩვენ ავკრძალავთ პარტიების, ოპორტუნიზმის ან იმის ხაშინიანობას, რასაც კი შეუძლია გათიშოს ხალხის ერთობა“.

თევზსაჭერი გემები ამერიკული იარაღით

მ ე ხ ი კ ო , 9 ოქტომბერი. (საკდესი). მექსიკის გაზეთი „ოვასიონესი“ იმოწმებს სანდო წყაროებს და ამბობს, რომ ამერიკის ფინანსიდან ალალი შეიარაღებული აგრესიის გეგმებს, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებენ.

ამ მიზნით, აღნიშნავს გაზეთი, ხორცელდება ცდები — შეიტანონ მექსიკაში კონტრაბანდული გზით დიდძალი იარაღი, რომელსაც კონტრრევოლუციონერები გამოიყენებენ კუბაში განზრახული გადასხმისათვის.

მექსიკის სანაპიროს სხვადასხვა რაიონში, წერს შემდეგ გაზეთი, სცადეს ფარულად გადაეტვირთათ რევოლუციური კუბის მტრებისათვის განკუთვნილი იარაღი. კონტრაბანდისტები ცდილობენ შეზიდონ მექსიკაში სათანადოდ შეფუთული იარაღი, რომელიც თევზსაჭერი გემებით მიაქვთ იქ.

„ოვასიონესი“ ხაზს უსვამს, რომ „ახალი შეჭრა კუბაში შესაძლოა წარსულისაგან განსხვავებით მოეწყოს არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. კუბის ნაპირებთან, რომლებიც ახლოა სიერაშაესტრის მთებთან, მიიყვანენ შეიარაღებული დივერსანტების მცირე ჯგუფებს, რომელთაგან შემდეგ შეიქმნება ძირითადი დამკვრელი ძალები“.

გაზეთი დასასრულ აღნიშნავს, რომ მექსიკის ხელისუფლებმა „გაძლიერეს მექსიკის ნაპირების საზღვაო და ხაპაერო დაცვა“.

„ჰუმანიზმის“ მსხვერპლი

ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი ს წმიდა ერიკის საავადმყოფოს ერთ-ერთმა ექიმმა უარი თქვა სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა ავადმყოფისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კომუნისტია.



— თქვენ კომუნისტი ხართ? ჰო თუ არა? თქვენი სიცოცხლე და ჯანმრთელობა თქვენს პასუხზეა დამოკიდებული.

ერთიანი სარდლობით

დანიის არც ერთ ბურჟუაზიულ გაზეთს არ გამოუქვეყნებია სსრ კავშირის მთავრობის განცხადება, რომელშიც დასაბუთებულია მიღება გადაწყვეტილებისა ატომგულის იარაღის გამოცდის განახლების შესახებ.



— შეხედეთ, როგორ შეჩვეულან ისინი მწყობრად სიარულს და ენის დამოკლებას.
ხ. ბიდსტრუპის ნახატები, დანიური გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკიდან“.

...ახალი მსოფლიო
...ახალი თვალით...

გენერალური ასამბლეის XVI სესიაზე

ნ ი უ - ი ო რ კ ი , 9 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ნ. ტურკეტნკო იუწყება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის ღღევანდელი დილის სხდომა დაიწყო ბოლივიის წარმომადგენლის გამოსვლით. ბოლივიის დელეგატი შეეხო სულ სხვადასხვა საკითხს, პრაქტიკულად არცერთ ამ საკითხზე არ წამოუყენებია რამდენადმე კონკრეტული წინადადებანი.

თავმჯდომარემ მონაკო სლამმა სიტყვა მისცა პოლონეთის დელეგაციის მეთაურს საგარეო საქმეთა მინისტრს რაპაკის. მისი სიტყვა მიეძღვნა თანამედროვეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა გერმანიის საზავო ხელშეკრულება, კოლონიალიზმი და განიარაღება.

თავისი სიტყვის დასასრულს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აბსურდულია მდგომარეობა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი არ არიან ისეთი ქვეყნები, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. მან აგრეთვე გადაჭრით დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის წინადადებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რეორგანიზაციის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა გაბონის წარმომადგენელი, რომელმაც მთავარი ყურადღება კოლონიალიზმის პრობლემას დაუთმო. გაბონის დელეგატმა მკვეთრად გააკრიტიკა რასობრივი დისკრიმინაცია სამხრეთ აფრიკის კავშირში და ის, რომ პორტუგალიამ ჩაახშო ანგოლელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამავე დროს მან ქება-დიდება შეასხა საფრანგეთის პოლიტიკას მისი ყოფილი და ახლანდელი კოლონიების მიმართ.

გაბონის დელეგატი შეეხო გერმანიის საკითხს და აღნიშნა, რომ საჭიროა ცნონ გერმანიის ორ სახელმწიფოდ გაყოფის ფაქტი. ამავე დროს იგი იცავდა იმას, რომ გერმანიის საკითხი გადაიჭრას ეგრეთწოდებული „თვითგამორკვევის პრინციპის“ საფუძველზე.

ნ ი უ - ი ო რ კ ი , 10 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. პონომარიოვი იუწყება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელი დღის პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ ინდონეზიის, ისრაელისა და უკრაინის სსრ წარმომადგენელნი.

თავის გამოსვლაში ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ მოუწოდა გენერალურ ასამბლეას ანგარიში გაუწიოს რეალურ სინამდვილესა და იმ ცვლილებებს, რაც მსოფლიოში მოხდა. ასეთ რეალობას, თქვა მან, წარმოადგენს, კერძოდ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არსებობა — სახელმწიფოსი, რომლის მოსახლეობა 600 მილიონ კაცს აღემატება და რომელიც ჯერ კიდევ მოკლებულია უფლებას დაიკავოს თავისი ადგილი გაერთიანებულ ერებში. რეალობის აღიარება გერმანიის საკითხში, განაგრძო ინდონეზიის წარმომადგენელმა, — ეს არის ორი გერმანიის არსებობის აღიარება. სუბანდრიომ მოითხოვა მტკიცედ დაიცვან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

საერთაშორისო დისკუსიაში გამოვიდა უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVI სესიის პლენარულ სხდომებზე ყველაზე აქტუალური, მოუწესრიგებელი პრობლემების განხილვა დაგეგეგმარება სხვადასხვა თვალსაზრისით დაინახოთ საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზები. 16 წლის წინათ დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, განაგრძო ლ. ფ. პალამარჩუკმა. გერმანიის რაიხის ადგილზე წარმოიშვა ორი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, გერმანიის რაიხის უფლებამონაცვლეებთან დღემდე არ არის დადებული საზავო ხელშეკრულება, დღემდე არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი მეორე მსოფლიო ომის შედეგები. ლ. ფ. პალამარჩუკმა ამასთან აღნიშნა, რომ ბონის მთავრობამ ახლა შექმნა ყველაზე დიდი არმია დასავლეთ ევროპაში და კვლავ იმ აზრს ადგას, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა დამოკიდებულება პანგერმანიზმის ალმით „აღმოსავლეთისაკენ ახალი ლაშქრობის“ მომწიფებული გეგმებისადმი ისეთივე კეთილსასურველი დარჩება, როგორიც იყო ახლო წარსულში.

უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა დელეგატების ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა ხელოვნურად შექმნეს ეგრეთწოდებული „ბერლინის კრიზისი“ და ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირი „ემუქრება“ დასავლეთ ბერლინს. რათა შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრიობა, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ფ. პალამარჩუკმა, ისინი შეგნებულად და ბოროტი განზრახვით ჩქმალავენ საზავო ხელშეკრულების პროექტს, ცდილობენ შეამცირონ მისი მნიშვნელობა და ამასობაში აღვივებენ ომის ისტერიას დასავლეთ ბერლინის გამო. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მთავარია გერმანიის საზავო ხელშეკრულება, ხოლო სსრ კავშირის წინადადება დასავლეთ ბერლინის დემილიტარიზებულ მშვიდობიან ქალაქად გადაქცევის შესახებ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მოაწესრიგოს ეს საკითხი გერმანიის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე. საზავო ხელშეკრულების საბჭოთა პროექტის არაკეთილმოსურნე კრიტიკოსები, განაგრძო, მან ამ პროექტს ახასიათებენ როგორც ისეთ რამეს, რომელიც „არღვევს მშვიდობას“, მაგრამ, უცნაურია, რომ თავის მხრივ ისინი არ აყენებენ არავითარ წინადადებას, გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდროვის სახელმწიფოსა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა — სახელმწიფოსი, ინდოეთის, ინდონეზიის, ეგვიპტისა, ირანის, ბურმის, ეთიოპიისა, ბრაზილიისა, ბულგარეთის, ალბანეთის, ბელგიისა, ბერძნეთის, ბოლივიისა, ბუნეთის, ბურკინა ფასოს, ბურუნდის, ვენესუელის, ვიეტნამის, ზანზიბარის, ზაირის, ზამბიის, ინდოჩინეთის, ირლანდიის, ისლანდიის, ისრაელის, ეკვადორის, ეთიოპიის, ეგვიპტის, ეკვადორის, ეთიოპიის, ეგვიპტის, ეკვადორის, ეთიოპიის, ეგვიპტ

ჯანმრთელობის საფარაჯოზე

ოფტალმოლოგთა მეორე სრულიად საკავშირო კონფერენცია

ოფტალმოლოგთა მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციამ, რომელმაც თბილისში გუშინ დაიწყო მუშაობა, თავის პროგრამაში შეიტანა თეორიული და პრაქტიკული ოფტალმოლოგიის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ 250 დელეგატი მთელი საბჭოთა კავშირიდან, აგრეთვე საზღვარგარეთის სახელმწიფოების, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლები.

პლენარულ სხდომებზე მოსმენილ იქნება მოხსენებანი, მიძღვნილი ისეთი აქტუალური პრობლემებისადმი, როგორიც გლაუკომის პრობლემაა, მისი ადრე გამოვლინებისა და პროფილაქტიკისადმი, მასთან ბრძოლის ღონისძიებებისადმი. ოფტალმოლოგი ექიმის პრაქტიკულ მუშაობაში გლაუკომა მხედველობის ორგანოს ერთ-ერთ მძიმე დაავადებად რჩება; ადრე თუ გვიან მას მოჰყვება სიბრმავე და ინვალიდობა. ამიტომ ამ დაავადების დროული გამოცნობა და გამოვლინება მასთან წარმატებით ბრძოლის ძირითად მეთოდს წარმოადგენს. კონფერენციის მონაწილეთა განსახილველად წარმოდგენილ მოხსენებებში სწორედ გლაუკომის აქტიური გამოვლინების საკითხებსა და მისი პროფილაქტიკის ღონისძიებებს აქვს დათმობილი მნიშვნელოვანი ადგილი.

კონფერენციის მონაწილენი გაეცნობიან აგრეთვე ფრიად საინტერესო და შინაარსიან ცნობებს თვალის ვირუსულ დაავადებათა შესახებ. მხედველობის ორგანოს პათოლოგიის ეს განყოფილება ფართოდ და ყოვლისმხრივ გაშუქებულია ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ვირუსოლოგებისა და ოფტალმოლოგების მოხსენებებში. იმ ფაქტიური მასალების გაცნობა, რომლებიც ამ კონფერენციაზე იქნება მოხმენილი, უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ თვალის ვირუსული დაავადებანი საკმაოდ შესწავლილი და განზოგადებულია ჩვენი ქვეყნის მეცნიერმედიკოსთა გამოკვლევებში. ამ გამოკვლევებიდან პრაქტიკულად დიდმნიშვნელოვანი საკითხებია ზუსტი კლინიკური დახასიათება ვირუსული პროცესებისა თვალის ბრქოვან და ლორწოვან გარსში, ამ პროცესების წარმოშობა და მიმდინარეობა და მათი მკურნალობის სწორი გზები.

კონფერენციის მუშაობაში დიდ ადგილს დაიჭერს მოხსენებები, მიძღვნილი მაიონიზებელი რადიაციისადმი და მხედველობის ორგანოზე მისი გავლენისადმი.

კონფერენციის სექციურ სხდომებზე განხილულ იქნება მოხსენებები, რომლებიც ეხება ოფტალმოლოგიაში კონსერვაციული და ქირურგიული მკურნალობის ახალ მეთოდებს, როგორიც არის, მაგალითად, ბადურის ცენტრალური სისხლძარღვების მწვავე გაუვალობის მკურნალობა, ბადურაში სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევის დროს განგლიონმბლოკერებელ ნივთიერებათა გამოყენება, მინისებრი სხეულის დაბნელებისას ულტრაბგერის გამოყენება, თვალის დამწვრობის კომპლექსური მკურნალობა, და მხედველობის ორგანოს თერაპიის ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხს.

რაც შეეხება თვალის ქირურგიული მკურნალობის ახალ მეთოდებს, ოფტალმოქირურგიის ეს განყოფილება წარმოდგენილია მეტად საინტერესო ცნობებით.

კონფერენციის მონაწილეებს შეეძლებათ გაეცნონ ფრიად საინტერესო მასალებს მხედველობის ფიზიოლოგიისა და ფიზიოლოგიური ოპტიკის დარგში.

ფიზიოლოგიური ოპტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებები, რომლებშიც გაშუქებულია თვალის რეფრაქციის კლასიფიკაცია, როგორც მიოპიის პროფილაქტიკაში პრაქტიკულ ღონისძიებათა საფუძველი.

ოფტალმოლოგთა მეორე სრულიად საკავშირო კონფერენცია თბილისში **რომ არის მოწვეული, ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. იგი ნაკარნახევია ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ამ მაღალი კეთილშობილური პოლიტიკით, რომელიც საბჭოთა ქვეყნისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ყველა ხალხთა მტაცეცი, ურღვევ მეგობრობაზეა დამყარებული.**

პროფესორი ი. სიხარულიძე,

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ოფტალმოლოგთა მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სურათზე: ოფტალმოლოგთა მეორე სრულიად საკავშირო კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი: (მარცხნიდან მარჯვნივ) პროფესორი ე. **რიბაკინი** (მოსკოვი), დოცენტი ნ. **ბერაძე** (თბილისი), სოციალისტური შრომის გმირი პროფესორი ნ. **პუჩკოვსკაია** (ოდესა), პროფესორი ვ. **მელიანოვსკი** (პოლონეთი), პროფესორი ი. **სიხარულიძე** (თბილისი), პროფესორი ა. **დაშევსკი** (დნეპროპეტროვსკი).

ფოტო ვლ. **გინზბურგისა.**

გუშინ კონფერენციაზე

10 ოქტომბერს რკინიგზელის სახლში გაიხსნა ოფტალმოლოგთა II სრულიად საკავშირო კონფერენცია. იგი მიიწვიეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ოფტალმოლოგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოებამ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და ოფტალმოლოგთა რესპუბლიკურმა სამეცნიერო საზოგადოებამ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ თვალსაჩინო საბჭოთა ექიმი-მკურნალები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. მათ შორის არიან სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ვ. ედანოვი და ა. ლებედინსკი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ნ. პუჩკოვსკაია, ა. სამოილოვი, ი. მერკულოვი, ვ. არხანგელსკი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ი. სიხარულიძე და სხვები.

კონფერენციაზე მოწვეული არიან სტუმრები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან — პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

კონფერენცია გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა გ. მარუაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს ოფტალმოლოგთა რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ი. სიხარულიძემ.

საბჭოთა ოფტალმოლოგების ფორუმს მისალმა უხუცესი პოლონელი მეცნიერი აკადემიკოსი ვ. მელიანოვსკი.

კონფერენცია მოისმენს 170-ზე მეტ მოხსენებას.

რკინიგზელის სახლის ფოიეში მოწყობილია თვალის სხვადასხვა დაავადების სამკურნალო უახლესი საბჭოთა აპარატურის გამოფენა.

კონფერენცია 14 ნოემბრამდე გასტანს.

(საქდესი).

არა, ასე ვაჭრობა არ გამოდგება

საქონელბრუნვა გაიზარდა. ჩვენი რაიონის მშრომელებს ოცზე მეტი მაღაზია და დუქანი ემსახურება. ერთ წელიწადში მომხმარებლებმა ხუთი მილიონი მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი შეიძინეს".

ასე წერდა ახმეტის რაიონული გაზეთი „გამარჯვება" ამ თხუთმეტი წლის წინათ და ვაჭრობის მუშაკებს ქებით იხსენიებდა.

კითხულობთ ამ სტრიქონებს, წარსულს ახლანდელს ადარებთ და გული სიამით გევსებათ. ახლა მთელ რაიონში კი არა, მარტო დაბაში ოცამდე მაღაზია და დუქანი მუშაობს. შარშან რაიონის მშრომელებმა კოოპერაციიდან ოცდაერთი მილიონი მანეთის (ძველი ფულით) სამრეწველო, სასურსათო და სხვა საქონელი შეისყიდეს.

კარგია, მოსაწონია, მაგრამ კმარა კი ეს? მომხმარებლები ამბობენ: არა, მეტია საჭირო!

ახმეტის რაიონის კოოპერაციის მუშაკებმა ყურადღებით უნდა მოუსმინონ მათ, უკეთ იმუშაონ ვაჭრობის კულტურის ასამაღლებლად, ძველებურად მუშაობა აღარ გამოდგება.

მეაბუკობინეთ რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეს დაგვხვდეს, გეგმების შესრულების თაობაზე მოვდივართ...

„ოუგს ვერ ვიტყვით. ცეკავშირის მუშაკები მართლაც ხშირად ჩადიან ახმეტაში. თათბირობენ, ციფრებს აჯამებენ, მსჯელობენ, გამოაქვთ დადგენილებები, მაგრამ რა? ვაჭრობის გეგმები მაინც არ სრულდება. „სტუმართა" ნაკვალეკი საქმეს არ აჩნევია.

მომდინარე წლის რვა თვეში ახმეტის სამომხმარებლო კოოპერაციას 2.329 ათასი მანეთის საქონელი უნდა მიეყიდა მოსახლეობისათვის. ფაქტიურად 2.189 ათასი მანეთისა მიჰყიდა. გეგმა შესრულებულია 94 პროცენტით. ეს მაშინ, როცა შარშან ამავე პერიოდში დაავალება შესრულებული ჰქონდათ 101,1 პროცენტით. ჩამორჩება ახმეტის სოფლის კოოპერატივიც (გამგეობის თავმჯდომარე ი. მანველიშვილი). მან საქონელბრუნვის რვა თვის დავალება მხოლოდ 89 პროცენტით შეასრულა.

ზენორმატიული ნაშთი დღითიდღე იზრდება და უკვე 500 ათას მანეთს გადაამტეტ.

ვაჭრობის გეგმებს ვერ ასრულებს რაიკოოპკავშირიც.

ამის მიზეზად რაიკოოპკავშირის მესვეურები (თავმჯდომარე დ. ჯაშიაშვილი, ვაჭრობის განყოფილების გამგე გ. ცისკარიშვილი) ფონდებისა და ასორტიმენტის სიმცირეს ასახელებენ. საფუძველიც აქვთ. მომდინარე წლის ექვსი თვეში მომწოდებლებმა ახმეტის რაიონს დააკლეს ოთხ ტონაზე მეტი ხორცი, 2,6 ტონა ბურღული, ორი ტონა თევზი, ჩვიდმეტი ცალი ტელევიზორი, ვშვიდი ათასი ცალი შიფერი და სხვ.

საქონლის ასორტიმენტის მხრივ ხომ ახმეტელებს უფრო მეტი აქვთ საპრეტენზიო. სავაჭრო ქსელში 93 სახის სამრეწველო საქონელი არა აქვთ. რაიონის მაღაზიებში არ იშოვნება ისეთი საქონელი, როგორიც არის, ბამბის შარვალი და ხალათი, ბამბის პიჯაკი, ბამბის საშარვლე და საკაბე ქსოვილი, წმინდა აბრეშუმის ქსოვილი, ელექტრომოწყობილობა, ხარკამეჩისა და ცხენის ნალი, ალიუმინის ტაფა, მოსწავლის კალამი, სახატავი რვეული, ქიმიური ფანქარი, მელანი, ველოსიპედი და სხვ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ახმეტის კოოპერაციის მომარაგება საქონლით მკვეთრად გაუარესდა მას შემდეგ, რაც გურჯაანში ცეკავშირის ბაზა გაიხსნა. წინათ საქონლის წასაღებად თბილისში მხოლოდ ორი-სამი კაცი დადიოდა, ახლა გურჯაანში ოცზე მეტი კაცი დადის და ხეირიანი საქონელი მაინც ვერ მიაქვთ.

— ჩემო დაო, სამი კილოგრამი ქვამარილი ამიწონე.

— არა მაქვს, ძმაო.

მარილის ნაცვლად ზრდილობიანი პასუხი მიიღო.

— ერთი კილოგრამი სუფრის მარილი მოგვეცით.

ახლა კი გაწიწმატდა გამყიდველი გაბრიელაშვილი.

— ნუთუ ვერ გაიგეთ, რომ ერთ თვეზე მეტია, რაც მარილი არა გვაქვს.

ეს ამბავი შორეულ სოფელში კი არა, დაბის სოფლის კოოპერატივის გამგეობის კანტორის გვერდით არსებულ № 1 სასურსათო მაღაზიაში ხდება.

სოფელ მაღრაანის მაღაზიაში ხუთ თვეზე მეტია, რაც მარილი არ გაყიდულა. უტო, დუმასტური, ჯოყოლო, დუისი, მატანი, ზემო ხოდაშენი — თითქმის ყველა დასახლებული სოფლის მაღაზიები ვნახეთ და მარილი ვერ აღმოვაჩინეთ.

კი, მაგრამ ნუთუ მართლა მარილი არა აქვს ახმეტის სამომხმარებლო კოოპერაციას? როგორ არა! რკინიგზის თელავის სადგურის ახლოს მდებარე საწყობში დიდძალი მარილი უწყვიათ, მაგრამ ახმეტაში მიტანა ვერ „მოუხერხებიათ".

დაბის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარემ ნ. რუსიშვილმა მაღაზიებში მარილის მიუტანლობის მიზეზად ტრანსპორტის უქონლობა დაასახელა. მომხმარებლებმა იქვე გაამტყუნეს: „კი, მაგრამ სხვა საქონელი რით მოგაქვთ?"

ახმეტის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ იოსებ მანველიშვილმა მარილის უქონლობა საწყობის მუშებს დააბრალა: „ავტომანქანებზე მარილის დატვირთვაზე უარს ამბობენ"(!).

მარტო მარილი კი არა, ბევრი სხვა საქონელიც აქვს რაიკოოპკავშირს ისეთი, რომელიც მაღაზიებში დროულად არ მიაქვთ.

დასკვნა ნათელია: გეგმების შეუსრულებლობა მარტო საქონლის მიმწოდებელთა ბრალი როდია, ამ საქმეში კოოპერაციის მუშაკებიც სცოდავენ.

ვატანის საკომისიო მაღაზიაში გამგეგამყიდველად სოლომონ რუსიშვილი მუშაობდა. მას ბევრმა წაასწრო დანაშაულზე. მომხმარებლებს ზომა-წონაში ატყუებდა. არც უფაქტურო საქონელს ერიდებოდა. ამ უმსგავსოებათა შესახებ კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ნ. რუსიშვილს სიგნალები მისდიოდა, მაგრამ ყურად არ იღო. სოლომონი ამით გათამამდა და 3.388 მანეთი გაფლანგა. დანაშაულზე წაასწრეს, დააპატიმრეს, მაგრამ ფული? 309 მანეთი კვლავ მას აწერია.

კოოპერაციის კანტორიდან საშაქარლამო წარმოება შორს არ იყო. თავმჯდომარე, ბუხსალტერი, რევიზორი, კალკულატორ — ყველა მიდიოდა წარმოებაში, მაგრამ კონტროლისათვის კი არა, გემრიელი ნამცხვრის მისარმომევად. გაფლანგა თუ სხვას აჩუქა, ვერ ვიტყვით, მაგრამ ის კი მოხდა, რომ საშაქარლამო წარმოების მესვეურს ირაკლი რაზმაძეს 805 მანეთი დაკლდა.

ახმეტის საკომისიო მაღაზიის გამგეგამყიდველს ლ. ნაცარაშვილს 1.314 მანეთი „შემოეხარჯა". მაღაზია მიატოვა და გაიქცა. მის გზას დღესაც მისტირიან...

ახმეტის სოფლის კოოპერატივში (გამგეობის თავმჯდომარე ი. მანველიშვილი) დებიტორულმა დავალიანებამ ათი ათას მანეთს გადაამტა. 1958 წელს საზოგადოების ხორცმეტებმა შ. მწარიაშვილმ, გ. აბეჩხრიშვილმა და გ. აბესაძემ ზემო ხოდაშნის მაღაზია გატეხეს. ისინი დაამტკიცეს, გაასამართლეს, ზარალის ანაზღაურება დააკისრეს, მაგრამ რა გამოვიდა! 3.443 მანეთი დღემდე არა ჩანს. მომდინარე წელს მატანის მაღაზიიდან 6.903 მანეთის საქონელი გაიტაცეს. დამნაშავეთა კვალს დღემდე ვერ მიაგნეს. ხალაწნის კოლმეურნეობას 452 მანეთი მართებს კოოპერაციისა.

ფაქტები სხვაც ბევრია, მაგრამ დასკვნისათვის ესეც კმარა. გაფლანგვა-დატაცების საქმეში კოოპერაციის მუშაკებთან ერთად ბრალი მიუძღვით ახმეტის რაიმილიციას, სასამართლოსა და თელავის სარაიონთაშორისო პროკურატურას.

იცნობდეთ — ის მატყუარაა! ახმეტის რაიონულმა გაზეთმა „გამარჯვებამ" მომდინარე წელს ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ქვემო ალვანის სოფლის მაღაზიის სასურსათო სექციის გამყიდველს რუბენ ჭრელაშვილს ეხებოდა. წერილში აღნიშნულია, რომ ყოველ წონაზე ჭრელაშვილი 30 გრამს აკლებდა მომხმარებლებს.

მერე და მატყუარას წინააღმდეგ ვინ მიიღო ზომები? არავინ. უფრო მეტიც: ალვანის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ ჭრელაშვილი სამეურნეო მაღაზიის გამგე-გამყიდველად დაწინაურა.

ცხადია, მშრომელთა სიგნალებისადმი უყურადღებობას არასასურველი შედეგი მოსდევს. ცალკეული ვიგინდარები ამით სარგებლობენ და მომხმარებლებს წონა-ზომაში ატყუებენ.

ჯოყოლოს მაღაზიაში შარვლებსა და ხალათებს ფასები არ აწერია. ზოგ საქონელს იარლიყიც კი არ აღმოაჩნდა. ამიტომაც გამყიდველი გიორგი მთიულიშვილი საქონელს სარფიან ფასებში ყიდის. ისრაფელ მუთოშვილს ჩექმებში 19 კაპიკით მეტი გადაახდევინა. ასევე ზედმეტ ფასად გაყიდა კაცის დაბამბული შარვალი.

ქემო ალვანის სოფლის მაღაზიაში, სადაც გამყიდველად ტ. კახოიძე მუშაობს, ათი დასახელების საქონელს ფასი არ აწერია. „მომხმარებლებს აუგლეჯითთო" — განა ამას ვინმე დაიჯერებს?

ასეთი ფაქტები სხვაგანაც არის, მაგრამ რაიკავშირის ვაჭრობის განყოფილების გამგე გ. ცისკარიშვილი თვალს ხუჭავს, რატომღაც არ ცდილობს, რომ ვაჭრობაში წესრიგი დამყარდეს.

ახალგაზრდა ბომხმარებლებმა გადმოგვცეს საქართველოს სსრ ბომხმარებელთა საზოგადოებების კავშირის—ცეკავშირის გამგეობის გაზეთ-ბიულეტენის „საქართველოს კოოპერატორის" (რედაქტორი გ. მოზაიძე) სექტემბრის ნომერი, სადაც მოთავსებულია წერილი სათაურით „ზოგი რამ ახმეტელ კოოპერატორებზე". წაიკითხეთ და დაარწმუნდით, რომ „საქართველოს კოოპერატორი" ზოგჯერ სცოდავს.

წერილის ავტორი ვლ. სულაკაური ხოტბას ასხამს ზემო ხოდაშნის მაღაზიის გამგე-გამყიდველს ტრისტან გიგაურს.

„— ხოდაშნის მაღაზიაში, — წერს სულაკაური, — მუდამ საქმიანი ფუსფუსია. წარმატებლობა, ჩამორჩენა ტრისტანისათვის უჩვეულოა და ალბათ თვეების მანძილზე მოპოვებული წარმატებები შედეგია გულისხმიერი და მუყაითი მუშაობისა... ახმეტის გარეუბნის კოოპერატივში მოწინავეთა რიგებშიც პირველყოვლისა ალბათ ტრისტანს დაასახელებენ".

ვლ. სულაკაურს იმედი არ გაუმართლდა, ტრისტანს მოწინავედ არავინ არ ასახელებს. მიმდინარე წლის ექვს თვეში ვაჭრობის გეგმა მხოლოდ 87,2 პროცენტით შეასრულა. რვა თვეში შვიდი ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი დააკლო მომხმარებლებს.

რაიკოოპკავშირში ვნახეთ აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ ზემო ხოდაშნის მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი ტ. გიგაური) საქონელზე იარლიყები არეულია, აგდელი აქვს ფასების დამახინჯებას. ჰოდა ამიტომ იყო, რომ რაიკოოპკავშირის გამგეობამ გიგაურს სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ბიულეტენი განაგრძობს:

„ეკალდაკვალ მიჰყვება ტრისტანს ხოდაშნის სოფლის მაღაზია (გამგე-გამყიდველი ი. ხითაროვი). ი. ხითაროვს, რომ იტყვიან, საათვითო აუწყვია მუშაობა და წარუმატებლობა მასაც როდი სჩვევია..."

მომხმარებლებს ესეც არა სწორად მიაჩნიათ. მართალიც არიან. ჯერ ერთი, იოსებ ხითაროვი ზემო ხოდაშნეში კი არა, ქისტაურში მუშაობდა. მეორე, რაც მთავარია, იგი მოწინავე სულაც არ ყოფილა. მიმდინარე წლის რვა თვეში საქონელბრუნვის გეგმა შესრულებული აქვს 87,1 პროცენტით. ხითაროვი ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

განა დაუმსახურებელი ქება, ნაკლოვანებათა მიჩქმალვა ვაჭრობს საქმეს წინ წასწევს? წარმატებებს გაამრავლებს? „საქართველოს კოოპერატორის" მუშაკები რატომ არ ითვალისწინებენ ამას?

ამ წერილში ახმეტის სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთ წყულლებზე ვილაპარაკეთ. შეუძლიათ კი ისინი მოიშუშონ? შეუძლიათ. ამ საქმეში მათ პარტიის ახმეტის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და ცეკავშირი უნდა დაეხმარონ.

ს. ქოჩლაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

112 ტელეცენტრი და რეტრანსლაციური სადგური

მოსკოვი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირგაბმულობის მუშაკებმა, რომელნიც მონაწილეობენ სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი წარმატებანი მოიპოვეს.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოსამმართველოს უფროსმა ა. ლ. ბადალოვმა განუცხადა საკდესის კორესპონდენტს, რომ მარტო 1961 წელს მოკავშირე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში აშენდა 9 ახალი ტელეცენტრი და რეტრანსლაციური სადგური. მწყობრში ჩადგება სარანსკისა და ჩებოქსარის სატელევიზიო სადგურები.

წლითიწლობით ფართოვდება მოსკოვის ტელეცენტრის პროგრამების გადაცემა. ახლა კაბელისა და რადიორელეური ხაზებით საბჭოთა კავშირის დედაქალაქს ხედავენ და ისმენენ ჩვენი ქვეყნის 43 ქალაქისა და ოლქის მცხოვრებები. გარდა ამისა, მოსკოვის ტელეცენტრი უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გადასცემს საზღვარგარეთის ქვეყნებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია 2,6-ჯერ გადიდდეს სატელევიზიო სადგურთა რაოდენობა. ამავე დროს მხედველობაშია, რომ მიმღები ქსელი 1965 წლისათვის დაახლოებით 15 მილიონ ტელევიზორამდე გაიზრდება.

ახლა ახალი ტელეცენტრები და რეტრანსლაციური სადგურები შენდება კრასნოვოდსკში, მაგნიტოგორსკში, კანდალაქშასა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

სკკპ XXII ყრილობისათვის ჩვენს ქვეყანაში ამოქმედდებს 112 ტელეცენტრი და რეტრანსლაციური სადგური.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა სეზონი ახალი დადგმით გახსნა. მან მაყურებელს უჩვენა გ. მდივნის კომედია „გუგას და გიგოს მძლონები".

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თ. მესხმა. მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს დ. თავაძეს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. მეღვინეთ-უხუცესს.

ხელო. (საკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლთან შექმნილმა საესტრადო ბრიგადამ, რომელსაც გ. გრეკოვი ხელმძღვანელობს, ზაფხულში კონცერტები გამართა ქედის, ქობულეთის, სამტრედიის, ჩონატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში.

ახლა, როდესაც მოსავლის აღებაა გაჩაღებული, ხელოს საესტრადო ბრიგადა კონცერტებს მართავს რაიონის კოლმეურნეობებში.

შემოქმედებითი დათვალიერება

სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტეს მოაწყონ ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების დათვალიერება, მიძღვნილი სკკპ XXII ყრილობისა და სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობისადმი. დათვალიერება მოეწყობა ორ ტურად.

სრულიად საკავშირო დათვალიერების პროგრამის შესაბამისად საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო 1 ოქტომბრიდან 25 ნოემბრამდე აწყობენ ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებას. I ტურისათვის შერჩეულ ნაწარმოებთა საჯარო ჩვენება გაიმართება 25-30 ნოემბერს.

საუკეთესო ნაწარმოებებს შეარჩევს ჟიური საქართველოს სსრ ხახალხო არტისტის კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით მეორე ტურში შესასრულებლად, რაც გაიმართება მოსკოვში.

მეორე ტურში გამარჯვებულთ მიენიჭებათ „ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების 1962 წლის სრულიად საკავშირო დათვალიერების ლაურეატის" წოდება, გადაეცემათ დიპლომები და პრემიები.

კომუნისტი

საერთაშორისო არბიტრი

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციაში (ფიდე) არის „ოქროს წიგნი", რომელშიც ფუტანილია მსოფლიო ჩემპიონების, საერთაშორისო გროსმაისტერების, ოსტატებისა და არბიტრების გვარები.

ამ „ოქროს წიგნში" დღეისათვის სამი ქართველის გვარია. პირველად ეს პატივი წილად ხვდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და გამოჩენილ მოჭადრაკეს ვიქტორ გოგლიძეს, რომელსაც მიეკუთვნა საერთაშორისო ოსტატის წოდება. საჭადრაკო კომპოზიციაში დიდი წარმატებისათვის საერთაშორისო არბიტრის წოდება კომპოზიციაში მიეკუთვნა გია ნადარეიშვილს, ხოლო მომდინარე წლის 21 სექტემბერს სოფიაში გამართულ XXXII საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის. კონგრესზე საერთაშორისო არბიტრის წოდება ჭადრაკში მიეკუთვნა საქართველოს წარმომადგენელს ქსენია გოგიავას.

საქართველოს მოჭადრაკე მამაკაცთა და ქალთა შორის გოგიავამ პირველმა მიიღო საერთაშორისო არბიტრის წოდება ჭადრაკში.

ამ მაღალი წოდების მინიჭებას გოგიავას ულოცავენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან. აი რას წერს მას მსოფლიო ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა:

„მიხარია და ვამაყობ შენით, ძვირფასო კოლეგა, გულწრფელად გილოცავ საერთაშორისო არბიტრის წოდების მიღებას". ღაწლმოსილ ქართველ მოჭადრაკე ქალს მიუსულიცეს მსოფლიო ექს-ჩემპიონმა ოლგა რუბცოვამ, ოსტატებმა ვერა ტიხომიროვამ, კირა ზვორიკინამ და სხვ.

ქსენია გოგიავა მარტო მსაჯობით არ კმაყოფილდება. იგი მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობაზე

XI-XXII ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა რამდენიმე მატჩი ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის „ა" კლასის იმ გუნდებს შორის, რომლებიც XI-XXII ადგილებისათვის იბრძვიან.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზენიტი" და ვორონეჟის „ტრუდი". მატჩის ანგარიშია 2:1 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

ვილნიუსის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა მორიგი შეხვედრა ჩაატარეს მოსკოვის „დინამოს" გუნდთან. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 2:1.

რიგაში თამაშობდნენ „დაუგავა" და კიშინიოვის „მოლდავა". გაიმარჯვეს „მოლდავის" ფეხბურთელებმა — 2:0.

ᲑᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨ

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის ქალ და ვაჟ კალათბურთელთა გუნდებმა მორიგი შეხვედრები ჩაატარეს. ამჯერად მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ თბილისის ნაკრები გუნდები.

ქალმა კალათბურთელებმა თამაში გარდამავალი უპირატესობით დაიწყეს. თბილისელთა მიერ ყოველ ჩაგდებულ ბურთს გერმანელები ზუსტი სროლით უპასუხებდნენ. მე-8 წუთზე 2 ქულით (10:8) წინ იყვნენ ქართველი სპორტსმენები. სპბადაშვილი და ჯანელიძე კარგი თამაშით ქულას ქულაზე უმატებდნენ. განსხვავება 10 ქულამდე გაიზარდა. გააქტიურდნენ სტუმრებიც, მაგრამ პირველ ნახევარში ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს და იგი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 26:21.

ქართველი კალათბურთელი ქალების აშკარა უპირატესობით წარიმართა თამაშის მეორე ნახევარი. სტუმრებს უძლიერესი მე-6 ნომრის ლ. მაპილას ბრწყინვალე თამაშმაც ვერ შეუწყო ხელი ქულათა განსხვავების შემცირებაში. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 59:45.

გაცილებით ძლიერად გამოიყურებოდა გერმანელ ვაჟ კალათბურთელთა გუნდი. თამაშის პირველი ნახევრის დამთავრებამდე მეტოქენი ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს — 11:11, 17:17, 27:27. ბოლო წუთში სტუმრებმა ორი შესანიშნავი ბურთი ჩააგდეს თბილისელთა კალათში და 2 ქულის (31:29) განსხვავებით მოიგეს პირველი ნახევარი.

მეორე ნახევარში განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა მოსაშვილისა და ინწკირველის თამაში, რამაც გადაწყვიტა მატჩის ბედი. თბილისელ კალათბურთელებს ამის შემდეგ ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვიათ და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს. 77:64 — ასეთია ამ შეხვედრის შედეგი.

ᲛᲝᲢᲝᲠᲑᲝᲚᲐ ᲚᲐᲜᲓᲠᲘᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ლანდრინდონში (უელსი) გაიმართა ექვსდღიანი საერთაშორისო მოტორბოლა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს — მოიპოვეს 4 ოქროს და 7 ვერცხლის მედალი.

მთავარი პრიზი „საერთაშორისო ტროფეი" დაიმსახურეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოტომრბოლებმა, ხოლო „ვერცხლის ლარნაკი" — ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 16.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი „ქარიშხალს" სტადიონიდან, 17.45 — კინოჟურნალი, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „შეხვედრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატებთან", 18.35 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.45 — გადაცემა „თეთრი წყაროს რაიონი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წინ" (სტუდიაში პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. ბეკაური), 20.00 — კინონარკვევი, 20.20 გადაცემა — „სიცოცხლისა და სიყვარულის მომღერალი" — (ი. ფუჩიკი), 20.40 — ახალი ამბები, 20.55 — დოკუმენტური ფილმი „ნირსართულიანი ამერიკა".

„ᲕᲝᲚᲒᲐ" ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ

**ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ. (ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲠ.). ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲔᲚ ᲡᲐ